საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

F 84·528 / 3

# კატალოგი

## ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენისა

ტფილისი 1920.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წინასიტყვაობა

ძველი ქართულ ხუროთ-მოძღვრების გამოფენა მოწყობილია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ და შეიცავს უმეტესად ამავე საზოგადოების კოლლექციებს. ამ კოლლექციებში შედის: მასალანი ექსპედიციებისა სამუსულმანო საქართველოში 1) 1917 წლისა თორთუმ-ისპირში, 2) 1907 წ. ყარსის ოლქში და 3) 1902 წ. ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში და ჩილდირ-არდაგანის რაიონში, გეგმები და სურათები სხვა და სხვა ხუროთმოძღვართა და მხატვართა მიერ დამზადებულნი, რომელნიც ეხებიან ძეგლებს ბორჩალოს მაზრისა და ტფილისის მაზრის სამხრეთის ნაწილისა (სომხითსაბარათიანოსა), გეგმები და სურათები ზოგიერთი ქართლის ძეგლებისა (პირები მცხეთის ტაძრის ფრესკებისა, გეგმები და სურათები წმ. ნიკოლოზის ეკლესიისა ყინწვისში, უფლის ციხისა, იკორთისა, ქართლის ბიეთისა და სხვა), გეგმები ბორჯომის და მისი მოსაძღვრე ხეობების ეკლესიებისა, გეგმები და ფრესკის პირები კახეთის ეკლესიათა, რამოდენიმე გეგმა ტფილისის რაიონის და ტფილისის ჩრდილოეთის მაზრების ძეგლებისა, ესტამპაჟის საშუალებით ჩამოსხმულნი ქანდაკებანი და მრავალი სხვა და სხვა ფოტოგრაფთა მიერ გადმოღებული სურათი როგორც ჩამოთვლილ ადგილებიდან ისე ქუთაისის მაზრებიდანაც. უმეტესი ნაწილი ამ მასალებისა შეკრებილია ექ. თაყაიშვილის ექსპედიციების და მოგზაურობის დროს სხვა და სხვა ადგილებში და დამზადებულია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაკვეთით.

გარდა საზოგადოების კოლლექციათა აქ გამოფენილია სხვა დაწესებულებათა და პირთა ექსპონატებიც: 1) კავკასიის საისტორიო და საარქეოლოგიო ინსტიტუტმა გამოფინა გამოსაცემად დამზადებული ჯგუფი გეგმებისა (ჯვარის მონასტრისა მცხეთის მახლობლად, სამთავროს მონასტრის სამრეკლოისა, ლურჯი მონასტრისა ანუ იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიისა ტფილისში, სამწევრისის და წრომის ეკლესიებისა და შავები ჯერ დაუმთავრებელის ატენის სიონის გეგმებისა, ფოტოგრაფიული სურათები სამწევრისის და წრომის ეკლესიებისა (მხატვარ კიუნეს მიერ გადაღებული); 2) ჩუქურთმიანი ხის კარი წარმოდგენილია ქართული (ყოფილი კავკასიის) მუზეუმისაგან; 3) ქალაქის მუნიციპალურ მუზეუმიდან მოტანილია სურათი და გეგმა სახლისა აბბას-აბადის მოედანზედ № 2; 4) კერძო პირთა შორის მრავალი ფოტოგრაფიული სურათი და აქვარელით შესრულებული მხატვრობანი მოგვაწოდა ბ-ნმა ზანისმა; 5) ფოტოგრაფიული სურათები მოგვაწოდეს კიდევ კავკასიის საისტორიო და საარქეოლოგიო ინსტიტუტის წევრებმა გ. ნ. ჩუბინაშვილმა (ბოლნისის ეკლესიისა) და დ. ჰ. გორდეევმა (წრომის მხატვრობა სოფიის კენჭით და კახეთის ძეგლებისა: ნეკრესისა,

F 8453 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრემისა, ვეჯინისა და საბას ლავრისა კარდანახის მახლობლად (სურათები გადაღებულია ს. პ. პოლევოის მიერ).

გამოფენის მომწყობთა გეგმის მიხედვით გამოფენაში უნდა ყოფილიყო ყოველგვარი ტიპი ხუროთმოძღვრებისა როგორც საეკლესიო ისე საერო და ყველა დარგი სხვა მხატვრული ხელოვნებისა, რომელიც თანამხლებია ხუროთმოძღვრებისა. ამიტომ აქ გამოფენილია ნიმუშები ჩუქურთმიანი ქვებისა და ხისა (ეკლესიის კარები), კედლის მხატვრობისა და წარწერებისა.

რუსული კატალოგი შედგენილია დ. პ. გორდეევის მიერ იმ ცნობების მიხედვით, რომელიც მიაწოდეს ექ. თაყაიშვილმა, გ. ნ. ჩუბინაშვილმა, ი. მ. ზდანევიჩმა და დ. ი. შევარდნაძემ და კალაშნიკოვმა, თანამშრომლობით ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტის მსმენელებისა ნ. ნ. ბლეიკისა, ნ. ნ. ვასილიევის ასულისა, ა. ა. ემილიანოვისა და ე. ა. ფეოდოროვის ასულისა.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო თავის მოვალეობად სთვლის გამოუცხადოს მადლობა რუსული კატალოგის შემადგენელთ და აგრეთვე გამოფენის მოთადარიგეს და მომწყობს დ. ი. შევარდნაძეს და მის თანამშრომელს გ. ნ. ნათიძეს.

ტფილისი. 1920 წელი. აპრილის 15.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სამუსულმანო საქართველო

I.

**ექსპედიცია 1917 წლისა ექ. თაყაიშვილის მეთაურობით თორთუმ-ისპირში.** (წევრნი ექსპედიციისა: ინჟინერი ან. კალგინი. მხატვარნი: დ. შევარდნაძე, ვ. გუდიაშვილი, მ. ჭიაურელი, ეთნოგრაფი ილ. ზდანევიჩი).

## ა. თორთუმის ხეობა.

1—17. **დიდებული ლავრა ხახული.** დღესაც საკმარად კარგათ დაცული. აქედან გადმოსვენებულია გელათში ხახულის ღვთისმშობელი. X—XII საუკ. შეადგენდა კულტურულ ცენტრს, საიდანაც გამოდიოდენ მრავალნი მოღვაწენი და მწიგნობარნი. აქ აღიკვეცა ბერად გიორგი მთაწმინდელი. აქ იყო განთქმული მოღვაწე ივანე ხახულელი ოქროპირად წოდებული და სხვ. უძველესი პატარა ეკლესიები ირგვლივ დანგრეულია. ეხლანდელი დიდი საყდარი გუმბათიანი, თლილის ქვისა, ლამაზი ჩუქურთმებით, ფერადიანი ქვებით და ქანდაკებანით შემკობილი, არის აშენებული დავით კურაპალატის მიერ მეათე საუკუნის მეორე ნახევარში. სამხრეთის შტოი საყდრისა, დასავლეთის და ჩრდილოეთის ეკუტრები მერმეა მიშენებული. მერმენდელია აგრეთვე პატარა ლამაზი ეკლესია საყდრის წინ სამხრეთით მშვენივრად დაცული. საყდარი დახურულია ქაშანურის, ფერადებიანის კრამიტით.

1. გეგმა. 2. დასავლეთის სახე. 3. სამხრეთის სახე. 4. განაკვეთი სიგრძეზედ. 5. შინაგანი სახე პერსპექტივით დასავლეთის ნაწილისა სამხრეთის მხრივ. №№ 1—5 გაზომილებია კალგინის მიერ და შესრულებული რიაბოვის მიერ. 6. პირი ფრესკისა იერუსალიმში შესვლისა სამხრეთის ჯვარის ფრთის ნაწილზედ, გუდიაშვილის მიერ გადმოღებული. 7—12. ქანდაკებანი სამხრეთის კარის ირგვლივ ცოტაოდნათ დაჩრდილულნი მერმე მიდგმული სვეტებით სამხრეთის შტოისა. 13. პატარა ქანდაკება ქვაზედ ეზოში ნაპოვნი. 14—17. წარწერები გუმბათის ყელის ქვებზედ, რომელნიც იხსენიებენ ვგონებ მაშენებელთ-ოსტატებს. ქანდაკებანი გადმოღებულია ესტამპაჟით: №№ 7—8 კალგინის მიერ, № 13 გუდიაშვილის მიერ, №№ 9—12 და 14—17 ჭიაურელის მიერ; შემდეგ ამ ესტამპაჟების საშუალებით ჩამოსხმულია გიპსით. 47 ფოტოგრაფიული ს[illegible]ათი ექსპედიციის დროს გადაღებული (I—III ვიტრინები).

18—20. **ეჭეჭი** და არა **ეგრეკი**, როგორც ბროსს[illegible]სწერს (ეგრეკში ეკლესია არ აღმოჩნდა). ეკლესია გუმბათიანია ჯვარის გეგმისა, თლილის ქვით ნაშენი, არა დიდი, მაგრამ ლამაზი. წმიდანების სახელები ამოჭრილია ქვაზედ ბერძნულად და ქართულის ნუსხა ხუცურით. დიდი ბერძნული წარწერა, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოღებულია ნერსეს სარგისიანის მიერ და გამოცემული ბროსსეს მიერ და რომელიც სამწუხაროდ დღემდის აღარ შენახულა, მოგვითხრობს, რომ ეკლესია აუშენებია პატრიკს და სარდალს ლარისსისა და მაკედონიისა გრიგოლს, ძეს სუმბატ პატრიკისა იბერიელისა, კისკასად წოდებულისა, 1007 წელს, მეფობასა ბასილი და კოსტანტისა. 18. გეგმა. 19. აღმოსავლეთის სახე. 20. სამხრეთის სახე. გაზომილია ზდანევიჩის მიერ, შესრულებულია: № 18 კუბერას მიერ, № 19—20 სეროვის მიერ.

7 ფოტოგრაფიული სურათი ექსპედიციის მიერ გადმოღებული (IV ვიტრინა).

21. **სიხტოროტი.** ექექის მახლობლად, პატარა ეკლესია თლილის ქვისა, სიონურის რიგისა.

21. გეგმა გაზომილია ზდანევიჩის მიერ, შესრულებული კუბერას მიერ.

22. **ისი.** თორთუმის ტბის პირათ. გუმბათიანი ეკლესია ყოფილა. ეხლა დანგრეულია. ეკლესია ჯვარის გეგმის არის. მის განსაკუთრებულს თვისებას შეადგენენ ღრმა მომრგვალებული გარეგანი უბეები სამის მხრით.

22 გეგმა. გაზომილია ზდანევიჩის მიერ, შესრულებული კუბერას მიერ.

23—24 **ოშკი.** დიდებული ტაძარია თორთუმის ტბის მახლობლად, გუმბათიანი, ჯუარის სახის, რომლის დასავლეთის მხარე გაგრძელებულია კენტად. მრავალგვარი შესანიშნავი ჩუქურთმები შით ჩაქსოული ცხოველის სახეებით და ქანდაკებანი ამკობენ კარ-სარკმელებს ტაძრისას. მრავალი წარწერები მოგვითხრობენ ტაძრის აშენების ისტორიას. ტაძარი აშენებულია მეათე საუკუნის პირველ ნახევარში. ამშენებლები არიან ტაოს ბაგრატიონები, ბაგრატ ერთისთავთ ერისთავი და დავით მაგისტროსი, ადარნასე II კურაპალატის ძენი. მაშენებელნი დიდებული ბიზანტიური სამოსლებით და ეკლესიის გეგმებით ხელში წარმოდგენილნი არიან ქანდაკებით სადიაკვნეს სამხრეთ კედელზედ. ამათ შუაში ქრისტე არის გამოსახული იოანე მახარობელით და ღვთისმშობლითურთ, მაგრამ ეს ქანდაკება ძლიერ დაზიანებულია. წარწერებიდან სჩანს, რომ მარცხენა ქანდაკება დავით მაგისტრსს (+937) გულისხმობს, მარჯვენა ბაგრატ ერისთავთ ერისთავს (+945). ზედამდგომელად ძუშებისა აშენების დროს ყოფილა გრიგოლი ოშკელი, რომელიც ქანდაკებით წარმოდგენილია სვეტზედ სამხრეთის შტოისა. აქვე მრავალ სხვა ქანდაკებათა შორის არის აგრეთვე პატარა ქანდაკება წმიდა ნინოსი წელს ზევით ხელაპყრობით. ეს ერთად ერთი მაგალითია ნინოს სახისა მეათე საუკუნეში. გრიგოლ ოშკელი ცნობილი მწერალია მეათე საუკუნისა. 1036 წელს ეკლესია მოუხატავთ ფრესკებით.

23. ქვემოსართულის გეგმა. 24. მეორე სართულის გეგმა. 25. აღმოსავლეთის სახე. 26. ამავე სახის პირი დაუფერადებელი. 27. სამხრეთის სახე. 28. ამავე სახის პირი. 29. განის განაკვეთი საკურთხეველის სახითურთ. №№ 23—25, 27 და 29 გაზომილია კალგინის მიერ, ხოლო შესრულებული კერნის მიერ. პირები უფერედონი №№ 26 და 28 გადმოღებულნი არიან წინა სურათებიდან სეეროვის მიერ. 30. პირი აღმაშენებელის წარწერისა წითელის ფერადით შესრულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული სამხრეთის კარის თავზედ კარის ბჭეში, გადმოღებულია კალკით ჭიაურელის მიერ და ტილოზედ გადატანილი ექ. თაყაიშვილის შესწორების შემდეგ დ. შავარდნაძის მიერ. 31. სურათი უცნობი ისტორიული პირისა სამხრეთის ჯვარის ფრთის კედელზედ გუდიაშვილის მიერ გადმოღებული.

32—46 ჩუქურთმები და ქანდაკებანი: 32. ფანჯრის თავი სამხრეთის საკურთხეველის კედელზედ წარწერითურთ. 33. სურათი-ქანდაკება ერთ-ერთ მაშენებელის ბაგრატ ერისთავთ-ერისთავისა. 34. ქვემო ნაწილი სამხრეთის კარის ბჭის ნახევარი სვეტისა. 35—40 შემკულობანი გუმბათის ყელის ქვემო ქობისა ცხოველთა სახეებით. 41. ჩუქურთმა სამხრეთის ეკუტვრის სვეტისა. 42—46. ქანდაკებანი იმავე სვეტისა: 42. ორი ანგელოზი, 43. ანგელოზნი—ოთხ-სახენი. 44. იესო ქრისტე მარიამით და იოანე მახარობელით და ქვემოთ მვედრებელი გრიგოლ ოშკელი. 45. სურათი-ქანდაკება გრიგოლ ოშკელისა. 46. სურათი-ქანდაკება წმინდა ნინოსი. ესტამპაჟები №№ 32—33, 35—40 და 42—46 გაკეთებულია ჭიაურელის მიერ, №№ 34—41 კალგინის მიერ და ჩამოსხმულია გიპსით.

47. საოსტინაგე—ბერების სასადილო სახლი. სიონური სახის დიდი შენობა სამნაწილედი. თაღები შუა ნაწილისა მთელს სიგძეზედ ჩამონგრეულია. ჩრდილოეთის მხრით მიშენებული აქვს ოთხკუთხედი დიდი დარბაზი დაბალის მომრგვალო გვირგვინით და მომრგვალო ყურებით. თავი გვირგვინისა გახსნილია და სარკმელის მაგიერობას ასრულებს. შიგნით ჯარგათ ნათალი ქვით არის შეძერწილი, გარეთ ტლანქად ნათალი ქვა არის. ძნელი სათქმელია, თანამედროვეა ტაძრისა თუ არა.

47. საზოგადო გეგმა და განაკვეთი დარბაზისა. გაზომილია კალგინის მიერ, შესრულებულია კერნის მიერ.

А. პატარა ეკლესია თავ ტაძართან სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვეულებრივი სახისა ერთის კარით სამხრეთით, მთლიანად არის დაცული.

48. გეგმა და განაკვეთი. გაზომილია ზდანევიჩის მიერ, შესრულებული კუბერას მიერ.

Б. მეორე პატარა ეკლესია ჩვეულებრივი სახისა თავ ეკლესიის სამხრეთით, ნახევრად დანგრეულია.

49. გეგმა და განის განაკვეთი. გაზომილია ზდანევიჩის მიერ, შესრულებულია კუბერას მიერ.

62 ფოტოგრაფიული სურათი ექსპედიციის მიერ გადაღებული (VI—X ვიტრინები), ცხრა გადიდებული კიუნეს მიერ, 8 ფოტოგრაფიული სურათი ერმაკოვისა (V ვიტრინა).

50—58. **იშხანი.** ოლთისის წყლის პირის ზემოთ, სოფელ იშხანში. თავი ეკლესია პირველად აშენებული იყო მეშვიდე საუკუნეში სომეხ *ეპისკოპოსის ნერსე III* აღმაშენებელად წოდებულის მიერ, რომელიც შემდეგ კათალიკოსათაც იყო სომხეთში, მაგრამ გაძევებულ იქნა, ვინაითგან მართლმადიდებელი იყო. არაბების შემოსევის შემდეგ ეკლესია დაქცეული და მიტოვებული იყო და განაახლა მეცხრე საუკუნის პირველ ნახე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარში გრიგოლ ხანცთელის თანამოღვაწემ საბანმა. მას შემდეგ ქართული საეპისკოპოსო ტაძარი იყო იშხნელებისა მე-17 საუკუნემდის. ტაძარს მრავალი განახლება და შეკეთება განუცდია. 1032 წელს ბაგრატ IV დროს ანტონ იშხნელ ეპისკოპოსს შეუძერწავს მშვენიერის მოყვითანო თლილის ქვით, წინეთ აგურის მსგავსი ქვებით ყოფილა ნაშენები. შემდეგ გიორგი მეორეს მეფობაში (1072—1089) იმავე თუ სხვა ანტონი იშხნელ ეპისკოპოსს (ძნელია გამოსარკვევია) მეორედ განუახლებია კარისბჭე სამხრეთით. ეხლანდელი საყდარი ჯვარის სახისა არის უკანა ფრთის გაგრძელებით კენტად. აღმოსავლეთის ნაწილი, საკურთხეველი, ლამაზის სვეტებით და აგრეთვე ოთხივე კუთხნი (დიდრონი სვეტები), რომლებზედაც გუმბათია დამყარებული, მეშვიდე საუკუნის უნდა იყვნენ. საყდარს ჰქონია ეკუტრები ჩრდილოეთით, სამხრეთით და დასავლეთით. ეხლა დაცულია მხოლოდ ჩრდილოეთის ეკუტერი, დასავლეთის დანგრეულია, ხოლო სამხრეთის სულ აღარ არის. წახნაგოვანი გუმბათის ყელი და თვით გუმბათი კარგათ არიან დაცულნი. სახურავი ქაშანური კრამიტის არის, წითელი და მწვანე ფერებით შეხამებული. ჩუქურთმები კარ-სარკმელებისა ერთობ ლამაზია მეთერთმეტე საუკუნისა. ტაძარი სულ მოხატული ყოფილა ძველი ფრესკებით, მაგრამ ეხლა უმეტესი ან მოშლილია სულ, ან ძლიერ გაფუჭებული. დასავლეთის კედელზედ წინეთ წარმოდგენილნი ყოფილან მეათე საუკუნის ბაგრატიონების სურათები, მაგრამ განგებ ჩამოუშლიათ. ერთი ფრესკის წარწერა 917 წლის თარიღით იწყება. ჩრდილოეთის ფრთის კედლის ქვემო ნაწილზედ მეთორმეტე საუკუნის ფრესკის წარწერაა და სურათებიც ძლიერ განირჩევა სხვა სურათებისაგან. იშხანი ცენტრი იყო მწიგნობრობისა და ოქრომჭედლობის ხელოვნებისა, რასაც შენახული ძეგლებიც მოწმობენ. უკანასკნელი იშხანის ეპისკოპოსი მაკარი მოხსენებულია 1650 წელს ართვინის სახარებაში.

50А. გეგმა. 50Б. გეგმის წვრილმანები. 51. განის განაკვეთი. 52. განაკვეთი პროექციით. 53. სვეტის თავები საკურთხევლის სვეტებისა. 54. აღმოსავლეთის სახე. 55. სამხრეთის სახე. №№50—55 კალგინის გაზომილია და სევერიოვის მიერ შესრულებული.

56А.—Е. წვრილმანები ფრესკების შემკულობისა, აქვარელით შესრულებული გუდიაშვილის მიერ. А—Д შემკობილებანი დაპატარავებული, Е ნაწილი ბაგრატიონის სურათის თავისა. 57. საზოგადო სახე ტაძრისა სამხრეთ-აღმოსავლეთით, აქვარელით შესრულებული მატიასევიჩის მიერ და მისგან შეძენილი.

58. პატარა ეკლესია გურგენ მეფისა ჩვეულებრივი სახისა, მაგრამ შემკობილი შესანიშნავი ჩუქურთმებით, აშენებულია 1006 წელს, თარიღი ნაჩვენებია ქართული ქრონიკონით და სომხურით.

58. გეგმა და განაკვეთი სიგრძეზედ, გაზომილია ზდანევიჩის მიერ და შესრულებული კუბერას მიერ.

56 ფოტოგრაფიული სურათი ექსპედიციის მიერ გადაღებული (XI—XV ვიტრინები), ერთი კიუნეს მიერ გადიდებული სურათი, 3 ერმაკოვის მიერ გადაღებული (XI ვიტრინა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

59. **სუხბეჩი**. იშხანის მახლობლად, გუმბათიანი ეკლესია, ეხლა დანგრეული, აშენებულია აგურის მსგავსი თლილის ქვებით, დასავლით ეკუტერი აქვს. ძლიერ ძველი ეკლესია უნდა იყოს, წარწერა არა აქვს.

59. გეგმა ზდანევიჩის მიერ გაზომილი და კუბერას შესრულებული.

60. **საერო ხურჯთ-მოძღვრება**. 7 აქვარელის სურათი მხატვარის მატიასევიჩისა ეხლანდელი სახლებისა და მათი ნაწილებისა სამაჰმადიანო საქართველოში. ესენი და № 57 შეძენილია ავტორისაგან, რომელსაც ექსპედიციაში მონაწილეობა არ მიუღია.

## ბ. ისპირის ხეობა.

61—78. **ოთხთა-ეკლესია**, ეხლა **დოდთ-კილისსად** წოდებული, ისპირში. დიდი სიონი სამ ნაწილედი, ერთის შუა საკურთხეველით, ეს იყო დიდებული ლავრა, კარგათ ცნობილი მე-X საუკუნის ნახევრიდან მოღვაწეთა სიმრავლით და მწიგნობრობით. აქ აღიკვეცა ბერად იოანე, მამა ევთიმე მთაწმინდელისა, აქ მოღვაწეობდენ იოანე გრძელისძე და არსენი ნინოწმინდელი. ეტყობა შეკეთებანი შემდეგი დროისა. დახურულია კრამიტით. ფრესკები ყოფილა, მაგრამ ნაშთები ცოტა შენახულა. ოთხთა ეკლესიის სიონი უნდა იყოს აშენებული არა უგვიანეს მე-IX საუკუნის დასასრულისა და მე-X დასაწყისისა, შეძერწა მისი თლილის ქვით დავით კურაპალატის დროს უნდა ეკუთვნოდეს. დავითის სახელი იკითხება ერთ წარწერაში.

61. А და Б კედლის წარწერები. კალკით გადმოღებული დ. შევარდნაძის მიერ.

62. პირველი სართულის გეგმა. 63. მეორე სართულის გეგმა შუაწელისა. 64. გეგმა აღმოსავლეთის ნაწილის სიონისა. 65. განაკვეთი სიგრძეზედ. 66. აღმოსავლეთის და სამხრეთის სახეები. გაზომილია ზდანევიჩის მიერ. შესრულებულია №№ 62—65 კუბერას მიერ, № 66 სევეროვის მიერ.

67. პატარა ორსართულიანი სიონი ქვემო სართული აგურის მსგავსი ქვებით არის ნაშენი, ამას მომრგვალებული საკურთხეველი არა აქვს, ზემო სართული აგურით და ქვებით არის ნაშენი. აშენების დრო უცნობია.

67. გეგმა მეორე სართულისა და განაკვეთი სიგრძისა. გაზომილია ზდანევიჩის მიერ, შესრულებული კუბერას მიერ.

68. **ციხის ეკლესია**, პატარა ჩვეულებრივი სახისა, შესავალი აქვს დასავლით. შიგნით მოხატული ყოფილა და კედელზედ წარმოდგენილია მაშენებელის ოჯახი. ხელით გადმოღებულს წარწერაში ჩვენ ამოვიკითხეთ სახელი ეკლესიის მეორედ მაშენებელის კავკასისძისა. წარწერა გადმოღებულია ზდანევიჩის მიერ.

68. გეგმა ზდანევიჩის მიერ გაზომილი და კუბერას შესრულებული. (XVI—ვიტრ.)

24 ფოტოგრაფიული სურათი ექსპედიციის მიერ გადაღებული.

69—82. **პარხალი**. დიდებული ლავრა იყო, ცენტრი მწიგნობრობისა, სიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის რიგის არის სამნაწილედი. აშენებულია ოთხთა ეკლესიის გეგმის მიხედვით მეათე საუკუნის მეორე ნახევარში, დავით კულატპოლატის დროს. 973 წელს ეს ეკლესია დამთავრებული იყო და ახალ ეკლესიად ითვლებოდა. მას შესწირა შატბერდელმა მწერალმა იოანე ბერაიმ მის მიერ 973 წელს გადაწერილი სახარება. პირველად პარხალის კედლები თლილის ქვით შეძერწილი არ ყოფილა, შემდეგ გაუმშვენებიათ ჯამარებით თლილის ქვისა ხსვა და სხვა პირთ, რაზედაც მოგვითხრობენ წარწერები. შიგნით ეკლესია მოხატული ყოფილა, მაგრამ ფრესკები ეხლა გაფუჭებულია, ფრესკის წარწერებიც ბევრი ყოფილა. საყურადღებოა მხედრული წარწერა მე-XIII საუკუნისა.

69. გეგმა პირველი სართულისა. 70. გეგმა მეორე სართულისა შუა ნაწილისა. 71. გეგმა აღმოსავლეთის ნაწილისა. 72. განაკვეთი სიგრძისა. აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის სახეები, გაზომილია ზდანევიჩის მიერ, შესრულებული: №№ 69—71 მელიაკოვის მიერ, № 72 კუბერას მიერ და № 73 სევეროვის მიერ. 74—81 წარწერები კალკით გადმოღებული შევარდნაძის მიერ.

82. პატარა ეკლესია მთაზედ პარხალის მახლობლად ჩვეულებრივი სახისა. (XVII—XVIII ვიტრინები).

II

## გ. არდაგანის, ოლთისის და ყაღიზმანის ოლქები.

**მასალანი ექ. თაყაიშვილის ექსპედიციისა 1907 წ.** (მონაწილენი ექსპედიციისა—ინჟინერი ა. ნ. კალგინი და ე. კ. ლიოზენი. გეგმები შესრულებულია კალგინის მიერ).

### ა. გელის უჩასტკა, ქართველების კოლა.

83. **ოკამი.** ნანგრევები სიონური ეკლესიისა ეკუდერით ჩრდილოეთის მხრით. ტლანქათ ნათალის ქვით ნაშენი.

84. გეგმა ეკლესიისა.

84. **ტახტაკრანი.** პატარა ეკლესია ჩვეულებრივი ტიპისა, აგურის მსგავსი ნათალის ქვით აშენებული, ეკუდრით ჩრდილოეთის მხრით. თაღები ჩამონგრეულია, კედლები დაცული.

84. გეგმა.

85. **ჯიჯოლი.** პატარა ეკლესია ჩვეულებრივი ტიპისა, დარჩენილია კედლები ტლანქათ ნათალი ქვისაგან, თაღები მოშლილია.

85. გეგმა.

86. **ციხე კალა-ჯუხად წოდებული,** მტკვრის მარჯვენა პირად, კარგათ დაცული კოშკებით, სულ ექვსი კოშკია, 4 მგვალი და ორ ოთხკუთხედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

86. გეგმა ციხის და ადგილის მდებარეობისა, გაზომილია კალგინის მიერ და შესრულებული სეეროვისა.

87—88. **დიდრთ-კილისსა კოლისა.** ორმაგი ეკლესია არის ერთი მეორეზედ მიშენებული, ერთი მომრგვალებული აპსიდებით აღმოსავლეთით და დასავლეთით, მეორე ჩვეულებრივი სიონური რიგისა, ორთავე თლილის ქვით არის შეძერწილი. პირველ ეკლესიას გუმბათიც ჰქონია ოთხ კამარაზედ დამყარებული, მაგრამ ეხლა მოშლილია.

87. გეგმა.

88. გუმბათიანი ეკლესია ჯვარის სახისა, თლილის ქვით შეძერწილი. გუმბათი ჩამოვარდნილა და ნახევრად შენახულა ეკლესიაში. დასავთეთით ეკლესიას ეკუტერი აქვს. ეს ეკლესია მოხატული ყოფილა შიგნით, მაგრამ ნაშთები მცირეა და ცუდათ შენახული.

88. გეგმა.

89. **დადაშენი** საეპისკოპოსო საყდარი იყო ძველად. აქ იჯდა ეპისკოპოსი მწყემსი კოლისა. საყდარი აშენებულია დიდ მოგძო გორაზედ, რომელიც შემოზღუდული ყოფილა. ზღუდეში შენობათა მრავალი ნაშთებია, სულ დანგრეულები. საყდრიდანაც ბევრი არაფერი დარჩენილა, საყდარი ჯვარის სახის ყოფილა გუმბათიანი დიდრონი, თლილის ქვით ნაშენი, მოწითანო ფერისა.

89. გეგმა.

## ბ. ოლთისის ოლქი, ძველი ქართველების ტაო.

90. **კოსსორი.** მღვიმის ეკლესია სოფელ კოსსორში, საკურთხეველი მომრგვალებული არა აქვს, ტრაპეზის ქვა კედელზეა მიშენიბული.

90. გეგმა.

91—97. **ბანა.** ერთი საუკეთესო ტაძარი მთელ საქართველოში და ყველაზედ უფრო მშვენიერი და დიდი ძველ ტაოში. აშენებულია ადარნასე II კურაპალატის მიერ კვირიკე ბანელის ხელით 888—923 წლებში. იყო კათედრა ბანელ ეპისკოპოსისა. დიდი მრგვალი ჯვარის სახის ეკლესია გუმბათიანი, სამ სართულიანი, ეხლა დანგრეულია. მისი სვეტები, სვეტის თავები, ჩუქურთმები და სხვა შემკულობანი საუცხოოა. მხატვრობის ნაშთებიც ეტყობა. აწერილია ექ. თაყაიშვილის მიერ (Матеріалы по Арх. Кавк. вып., XII Москва).

91. გეგმა პირველი სართულისა. 92. გეგმა მეორე სართულისა. 93. გეგმა მესამე სართულისა. 94. გეგმა გუმბათის ყელისა. 95. განაკვეთი აღდგენით. 96. დასავლეთის მხარის სახე აღდგენილი. გაზომილი და შესრულებულია კალგინის მიერ.

97. პატარა გუმბათიანი ჯვარის სახის ეკლესია ბანის გვერდით ჩრდილოეთის მხრით, ოთხი აპსიდით. და მღვიმის ეკლესია აღმოსავლეთ-სამხრეთისკენ ბანისა კლდეში მომაღლოთ. მღვიმეების პირები ამოშენებულია.

97. გეგმა.

98. **აკრიაკი.** აქ სამი ძველი ეკლესია ყოფილა, მაგრამ ყველა დანგრეულია, ერთი სომხებს თავის ეკლესიად გადაუკეთებიათ. ერთს წაშლილი ხუცური

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარწერაც ეტყობა. გეგმა მარტო ერთი ეკლესიის შეიძლებოდა გადმოღება, ისიც ნაწილისა. ეს ეკლესია ჯვარის სახის ყოფილა, უხეშად ნათალის ქვით ნაშენი.

98. გეგმა.

ორს ვერსზედ აკრიაკიდან სოფელ **კალკოსში** ძველი ქართული ეკლესია სომხებს გადაუკეთებიათ. შიგ ინახება ბომბიცინაზედ დაწერილი ქართული სახარება მე-12—13 საუკუნისა მრავალის წარწერებით. ამ სახარებას დიდ თაყვანს სცემენ სომხები და ბერძნები.

99. **ორთული.** ორი ეკლესიის ნანგრევია. უკეთესი მათგანი, რომლის გეგმა არის წარმოდგენილი, აშენებული ყოფილა უფრო ძველის ეკლესიის ნანგრევებზედ. გეგმა ჯვარის სახისა არის სამი აპსიდით და დასავლეთის ფრთის გაგრძელებით. აქ დაცულია ძლიერ ძველი ქვის სვეტი-ობელისკი, რომელზედაც წმიდანებია გამოქანდაკებული.

99. გეგმა.

100. კარგათ დაცული ქართული ეკლესია ორთულის მახლობლად ეხლა **ვანქად** წოდებული. ოთკუთხედი ეკლესია, პატარა უბეებით საკურთხეველში. შეძერწილია კარგის თლილის ქვით, დასავლეთის ფანჯრის თავი შემკობილია სხვა და სხვა ფერის ქვებით, თეთრისა და მოყვითანოსი. ჩრდილოეთით მოშენებული აქვს მეორე პატარა ეკლესია. დახურულია ქვით. შიგნით კედელზედ ასომთავრული წარწერებია, მაგრამ არა ისტორიული. ეხლა აქ სოფელი არ არის.

101. **კოპი.** ბარდუსის წყალზედ, სოფელ პერტუსის ქვემოთ. აქ შენახულია ნანგრევები სასახლეებისა ბარდუსის პირათ და ერთი პატარა ეკლესია მშვენიერის წარწერით ათაბაგ მზეჭაბუკისა (+ 1516). ამის მახლობლად **კოპში** არის პატარა ჩვეულებრივი ქვის ეკლესია. მისი გეგმა № 101.

102—103. **ბობოსგირი.** პატარა, მაგრამ ძლიერ ლამაზი ეკლესიაა, თლილის ქვით ნაშენი ჯვარის სახისა, გუმბათიანი. შიგნით კარგათ არის დაცული, გარე შეძერწილი ქვები ჩამოცვივნულა. გუმბათის ყელი მრგვალია და დამყარებულია ოთხ მრგვალ სვეტზედ. ერთი ქვის სვეტი ეხლა ხის სვეტით არის შეცვლილი. საკურთხეველში ქვა ძევს, რომელზედაც წმიდანია გამოსახული, შეიძლება იოანე ნათლისმცემელი იყოს. ირგვლივ ლამაზი, მაგრამ დაზიანებული ასომთავრული წარწერაა: «ქრისტე შეიწყალე მიქელ ცოდვილი»(?). ამ ქვას ბერძნები და სომხები დიდ თაყვანს სცემენ, სანთელს უნთებენ. ზემოთ მთაზედ სოფელი პერტუსია, რომლის ძველი ქართული ეკლესია ახლად გადაკეთებულია სომხების მიერ. ბობოსგირის ეკლესია უნდა იყოს აშენებული არა უგვიანეს მეთერთმეტე საუკუნისა.

102. გეგმა. 103. განაკვეთი სიგრძისა გაზომილია კალგინის მიერ. შესრულებულია სევეროვის მიერ.

104. **კოტრესი.** ძველი ეკლესია თლილის ქვით ნაშენი ქურთებს მიწით გადაუხურავს და საბოსლეთ გაუხდიათ. გარედან ქვები მოუცლიათ. ეკლესია ჩვეულებრივი ტიპის არის ერთი კარით სამხრეთიდან.

104. გეგმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

105. **კერკლიუხი**. აქ ორი ეკლესია არის. ერთი მაჰმადიანებს თავის სამწირველოთ გადაუკეთებიათ და ამიტომ მომრგვალებული საკურთხეველი მოუშლიათ და სწორად ოთხკუთხედათ გაუხდიათ აღმოსავლეთის ნაწილი. სხვაფრივ შენობა მთელია. მეორე ეკლესია აშენებულია თლილის მოწითანო ქვისაგან. შორიდან აგურით ნაშენი გეგონებათ. თაღები ჩამონგრეული აქვს, ხოლო კედლები მთელია. ჩვეულებრივი გეგმის არის. სამხრეთით ეკუტერი აქვს.

105. გეგმა.

**106—107. ლექსიკი.** ბარდუსის წყლის პირზეა ბაღებში. ეტყობა აქ დიდი ლავრა ყოფილა, ხეობა ვიწროა, მაგრამ მდიდარი. ყველა შენობები ზემოთ მთაზეა. სულ ხუთი ეკლესიაა დაცული. ერთი მოდიდო, ოთხი პატარა ჩვეულებრივი ტიპისა, ყველა თლილის ქვით არის შეძერწილი. დიდი ეკლესიის თაღი ჩამონგრეული ყოფილა, მაგრამ ეხლა ხით გადუხურავს ადგილის პატრონს და საცხოვრებელ სახლად გადუქცევია.

106. საზოგადო გეგმა ადგილისა. 107. გეგმები ეკლესიების შენობათა.

108—111. **ოლთისი**. ეკლესია ოლთისის ციხეში განმეორებაა კიაგმის-ალთის ეკლესიის გეგმისა, რომელიც აწერილი აქვს ექ. თაყაიშვილს (Мат. по Арх. Кавк. вып. XII, стр. 85—89). ამ ეკლესიას ქვემო სართულიც აქვს მიწაში, რომლის გეგმა ეკლესიის გეგმასთან ერთად არის წარმოდგენილი განაკვეთითურთ № 108. ეკლესია მე-X-XI საუკუნის უგვიანესი არ უნდა იყოს.

109. **ძველი ქართული ეკლესია** ეხლა სომხის ეკლესიად გადაკეთებული, სიონის რიგისა, ქართულ და ბერძნულ წარწერების ნაშთებს, რომელნიც აქ იპოვებიან, თარიღი არა აქვთ.

109. გეგმა.

110. **მიზგითა ანუ ჯამე ასლან-ფაშისა**. საუკეთესო მთელს ყარსის ოლქში, ოთხკუთხედი გუმბათიანი შენობა. წინ სამ გუმბათიანი კარის ბჭე აქვს ოთხი სვეტით წინ. წინეთ დახურული იყო კრამიტით, ეხლა ჟეშტის სახურავი აქვს. აშენებულია ათაბაგების შთამომავალის ალსან-ფაშის მიერ მე-XVII საუკუნეში.

110. საზოგადო სახე, ვეგმა და განაკვეთი ესკიზით. გაზომილია კალგინის მიერ, შესრულებულია სევეროვის მიერ. 111. გეგმა.

112. **სეხჩეკი.** პატარა ეკლესია ჩვეულებრივი რიგისა აშენებულია ციხეში, რომელიც მდებარეობს ძრიელ მაღალ კლდის მწვერვალზედ. ეკუდერი ჩრდილოეთის მხრით უკეთ შენახულია ვიდრე ეკლესია, მაგრამ ეს მერმეა მიშენებული. როგორც ეკლესიაში ისე ეკუვტერში მოჩანან ნაშთები ლამაზი მხატვრობისა, ფრესკებისა. დახურული ყოფილა ქვით.

113. **ბახჩალი-კიშლა.** გეჩუდიუნის მდინარის პირზედ, ციხის მახლობლად, გუმბათიანი ეკლესია ჯვარის სახისა, ნაშენია მოწითანო თლილის ქვით. თაღები და გუმბათი ჩამონგრეულია. გეგმა ძრიელ წააგავს კოლის დორთ-კილისას.

113. გეგმა.

114—116 **პერნიაკი.** ოლთისის წყლის პირათ. იქ სადაც ბანის წყალი შეერთვის ოლთისის წყალს. მარცხენა ნაპირზედ გორაკზედ ციხეა მოზღუდული

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამ ციხეში პატარა ლამაზი გუმბათიანი ეკლესიაა საკმაოდ დაცული, ... თანო თლილის ქვით ნაშენი, გუმბათის ყელის ნახევარი მოშლილია, სხვა ნაწილები ეკლესიისა მთელია.

მარჯვენა ნაპირზედ ოლთისის წყლისა უფრო მაღალი კლდოვანი მთა არის. ეს მთა ძირიდან მწვერვალამდის გამაგრებულია ზღუდეებით, კოშკებით და სხვა შენობებით, ასე რომ სიმაგრე რამოდენიმე სართულიანია. ნაშთები სახლებისა, ეკლესიისა და აბანოებისა იპოვებიან როგორც კლდის ძირში ისე ზემო სართულში. ამ სიმაგრის საზოგადო გეგმა და ზოგიერთი შენობებისა № 114.

115. საზოგადო გეგმა პირველი სიმაგრისა ეკლესიითურთ.

116. გეგმა გუმბათიანი სიონისა აღნიშნული № 115.

117. **ორტისი.** ორტისის წყლის პირზედ. აქ ყოფილა ციხე-კოშკი კლდის მწვერვალზედ, რომელიც ჩამონგრეულა. აქ შესანიშნავი წყაროა და წყაროს სადენი შენობის გეგმა, განაკვეთი და სახე წარმოდგენილია № 117.

118—123. **კალმახი** (ეხლა ვანქს უწოდებენ). მთელი ჯგუფი შენობათა მაღალ და ვიწრო ხეობაში ნიაკომის წყლისა. მათ იცავს და აგვირგვინებს ძლიერ მაღალ კლდოვან მწვერვალზედ გაშენებული კალმახის ციხე, ცნობილი მერვე საუკუნიდან, სადგური კალმახის ერისთავებისა, რომელთაც ძველად დიდი როლი ჰქონდათ საქართველოში. თავი ეკლესია გუმბათიანი, ოთხკუთხედია ფერდოზედ მიშენებული. ამას აქვს ჩრდილოეთით მოგრძო ეკუტერი ნახევრად კლდეში გამოკვეთილი და დასავლეთის მხრით შემდეგ დროში მიშენებული შტოები, არის აგრეთვე ნაშთები შენობათა სამხრეთით და ერთი მათგანი უკეთ დაცული საოსტინაგე უნდა ყოფილიყო. ირგვლივ თავ ეკლესიას ახლავს რვა პატარა ეკლესია ჩვეულებრივი რიგისა. თავი ეკლესია, ზოგი სხვებიც, მოხატული ყოფილა, მაგრამ მხატვრობა ზოგი გაფუჭებულია, ზოგი ჩამოცვინულია. დასავლეთის მხრით თავ ეკლესიისა არის სამრეკლო, რომლის ქვემო გაშლილი კამარა ალაყაფის კარებათ ყოფილა. ზემონაწილი რვა წახნაგიანია. ამაზედ ოსტატის ქანდაკებაც არის შენახული მისი იარაღებით. წარწერიდან სჩანს, რომ ოსტატი გიორგი ყოფილა. დრო თავ ეკლესიის აშენებისა არა სჩანს, მაგრამ ის მეათე საუკუნეზედ უფრო გვიანი არ უნდა იყოს, ხოლო უკანასკნელი დასავლეთის ეკუტერი ღვთისმშობლისა წარწერის მიხედვით აშენებულია დიმიტრი თავდადებულის ასულის რუსუდანის საფასით 1306 წელს. ერთი ეკუტერი კალმახის ეკლესიისა წმიდა დიმიტრის სახელზედ ყოფილა აშენებული. ამ ეკუტერში 1534 წელს გადაწერილი სახარება ეხლა წალკაზედ ინახება. (Е. Такайшвили. Археол. экскур. III, стр. 43—51). მეორე პატარა სახარება სავანისა გადაწერილია მერაბ კალმახელის და მისი მეუღლის ელენეს ბრძანებით 1562 წელს და არა 1030 წელს, როგორც დ. ბაქრაძე ფიქრობდა. (Опись пам. древности Кондакова и Бакрадзе, стр. 150). ჩვენს კალმახში ყოფნის წინა დღეებში მონადირემ მაღალი კლდის ნაპრალში იპოვნა ხუთი მხედრულის ხელით დაწერილი გუჯარი, რომელნიც შეიცავენ კერძო წერილებს ფანასკერტელების შესახებ მე-15 საუკუნისა.

118. საზოგადო გეგმა ადგილისა და შენობათა და 3 პატარა ეკლესია ჩვეულებრივი სახისა, გაზომილი და შესრულებულია კალგინის მიერ. 119. გეგმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

120. განაკვეთი სიგრძეზედ. 121. განაკვეთი სიგანეზედ. 121. განის განაკვეთი ორი სვეტის ზემო ნაწილის გეგმით. 122. აღმოსავლეთის სახე. 123. გეგმა და სახე სხვა შენობათა. №№ 119—122 გაზომილია კალგინის მიერ და შესრულებული სევეროვის მიერ. № 123 და ნაწილი № 118 ებრაელიძის მიერ.

124—127. **ტაოსკარი.** თავი ეკლესია ტაოსკარისა ორიგინალი გეგმისა არის და ლამაზი. შენობა თექვსმეტ წახნაგიანია, თლილის ქვით ნაშენი, გუმბათიანი, რვა მოგრძო ბურჯი. რომლებზედაც ფართო გუმბათია დამყარებული, იწყებიან კედლებიდან და ცენტრისკენ თანდათან ვიწროვდებიან და თავდებიან ნახევარ-ნახევარი სვეტებით. ამ ბურჯებთა შორის რვა განიერი და ღრმა ქორედია თაღით გადახურული. გარედან თითოეულის ბურჯის სიღრმეში სამკუთხიანი უბეა. ორი ერთი მეორეზე დადგმული წინ გამოწეული წრე პატარ-პატარა კამარებისა აერთებენ შუა ნაწილის სიმრგვლეს გუმბათის ყელთან და ამოკლებენ თვით სიმრგვლეს ორი წყებით. აღმოსავლეთის ქორედი მომრგვალებულია საკურთხეველისთვის და აქეთ-იქით ორივე მხარეს ბურჯების სისქეში საკურთხეველისა გამოყვანილია მოგრძო განჯინები, სამკვეთლოს და სადიაკვნეს მაგიერნი. ამათ ისე, როგორც საკურთხეველს, თითო სარკმელი აქვთ. ამრიგათ აღმოსავლეთის წახნაგს სამი სარკმელი აქვს, ხოლო სხვებს თითო. კარი სამი აქვს—დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით. გუმბათის ყელი ჩამონგრეულია, მაგრამ ნაწილი დარჩენილია აღმოსავლეთის მხრით და მათში ფანჯრების ნაწილებიც ემჩნევა. ცნობები ეკლესიის აშენების შესახებ არა გვაქვს, მაგრამ ის მეათე საუკუნეზედ გვიანი არ უნდა იყოს.

124. გეგმა და განაკვეთი. 125. დასავლეთის სახე აღდგენილი (სარკმლები ნაჩვენები არ არის). 126. აღმოსავლეთის სახე. №№ 125 და 126. გუმბათი აღდგენილი სახით. № 124-ზე ნაჩვენებია ხაზი ჩამონგრეული ნაწილისა. გაზომილია კალგინის მიერ. შესრულებული: №№ 124 და 125 კერნის მიერ, № 126 ებრაელიძის მიერ.

127. **მეორე ტაოსკარის ეკლესია** სიონური რიგისა მოგძოა, თლილის ქვით ნაშენი, დასავლეთის ნაწილი უფრო ვიწროთ წაგძელებულია. ეხლანდელი ნაშთების მიხედვით მისი პირვანდელი სახის გამოკვლევა ძნელია 127.

ტაოსკარში მესამე ეკლესიაც არის სხვებზე უკეთ დაცული ქართული წარწერებით ჩვეულებრივი ტიპისა და მხატვრობის ნაშთებით. აქვე ჯამე მაჰმადიანთა.

128—129. **ფანასკერტი.** რამოდენიმე ქართული ეკლესია ფანასკერტისა ეხლა სულ დანგრეულია. ერთის გაფუჭებული ასო მთავრული წარწერა, რომელშიაც მოხსენებულია სუმბატ ერისთავი, უბრალო სახლის კედელშია ჩაშენებული. ერთი ეკლესია სომხურის წარწერით ჯამეთ არის გადაქცეული. და გვერდით თავლა აქვს მოშენებული. შესანიშნავი ფანასკერტის ციხეც სულ დაუნგრევიათ და ქვები სახლებისთვის მოუხმარიათ. დარჩენილის გეგმა № 28. აქ იყო სამყოფი ფანასკერტელებისა, ეხლანდელი ციციშვილების წინაპრებისა.

129. გეგმა უკეთ დაცულის ეკლესიის ნაშთებისა ჩვეულებრივი ტიპისა, თლილის ქვით შეძერწილი, დარჩენილია საკურთხევლის ნაწილი მხატვრობის ნაშთებით.

130. **ხოშევანქი.** დანგრეული ეკლესიაა თლილის ქვით ნაშენი, დარჩენილა კონქი აღმოსავლეთის ნაწილისა. უკეთ შენახულია ჩრდილოეთის კედელი, გეგმა დარჩენილი ნაწილისა № 130.

131. **კარნავაზი.** ბეგების ხიმშიაშვილების სოფელი არის. აქ მაღალ გორაკზედ სიმაგრე ყოფილა, ეხლა მოშლილია. ხის სასახლე ბეგისა წინეთ მშვენიერი ჩვენს დროს იშლებოდა, მაგრამ მისი შინაგანი აღმოსავლეთური შემკობილება ჩუქურთმებით და ფერადებით საუცხოვო იყო. გეგმა სახლისა და წვრილმანები № 131. შინაგანი ნაწილები ფოტოგრაფიის საშუალებით არის გადაღებული ლიოზენის მიერ.

132. **უკიამი.** სოფელი გაშენებულია კლდეებში ოლთისის წყლის პირათ. აქ სამი ქვის ეკლესია ყოფილა, ორი თვით სოფელში, ერთიც ქვემოთ სოფლის მახლობლათ. პირველი ორი უკვე არის დაცული, ვიდრე მესამე, რომელსაც როგორც ეტყობა გუმბათი ქონია პერნიაკის ეკლესიის მსგავსი. გეგმა ორი პირველი ეკლესიისა № 132.

133—134. **კინეპოს.** სულ პატარა სოფელია ეხლა, მაღალ მთაზე გაშენებული, მაგრამ აქ ბევრი ეკლესიის ნანგრევებია დაცული. სოფლელების სახლები სულ ეკლესიის ქვებით არის აშენებული. ეტყობა აქ ლავრა ყოფილა და ბევრ ბერებს უცხოვრია. სულ ამ ეკლესიებში ჩვენ შვიდი საკურთხეველი დავთვალეთ. საუკეთესო ეკლესია ჯვარის სახის არის. ეკლესია მოხატული ყოფილა, მაგრამ ნაშთები ცოტაა დაცული. სხვა ეკლესიები ჩვეულებრივია სიონური რიგისა. თავი ეკლესია უნდა იყოს არა უგვიანეს მე-X საუკუნისა. კინეპოს მახლობლათ ანზავის წყლის მშვენიერ ხეობაში არის **სოფელი ანზავი** ციხით ზემო კლდეზედ და ციხეში პატარა ეკლესია ჩვეულებრივი რიგისა, ეკლესია მოხატული ყოფილა, მაგრამ ეხლა ციხეზე ასავალი გზა აღარ არის. აქ იყო სამყოფი სამცხეში განთქმულის გვარის ანზაველისა.

133. გეგმა და სხემატიური განაკვეთი სიგრძეზედ, 2) სხემატური აღმოსავლეთის სახე.

134. 3. **ჩვეულებრივი ტიპის სიონური ეკლესია** კინეპოსთან. ა. ერთს შესავალი აქვს ჩრდილოეთის მხრით. ბ. მეორეს შესავალი აქვს სამხრეთით. ორთავე თლილის ქვით ნაშენია. 134. გეგმა.

135. **ჯუჯურუსი.** ეკლესია ჩვეულებრივი ტიპისა უბრალო ქვით ნაშენი, თაღები ჩამონგრეული აქვს. ჩრდილოეთით და სამხრეთით ეკუდრები აქვს. ეტყობა მოხატული ყოფილა. 135. გეგმა.

136. **ზარდანესი.** ჩვეულებრივი ეკლესია უბრალო ქვით შეძერწილი და შესავლით სამხრეთიდან. 136. გეგმა.

137. **პარსადანი.** ჯვარის სახის დანგრეული ეკლესია ოთხი აპსიდით. 137. გეგმა დაცული ნაწილისა.

## 3. ექსკურსია სოფელ ჩანგლში ყაღიზმანის ოლქისა (სომხეთში).

138—141. **ჩანგლი.** დიდი საეპისკოპოსო გუმბათიანი ეკლესია არის ჯვარის სახისა. შავი თლილის ქვით შეძერწილი. სამკვეთლო და სადიაკვნე უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბალია, ვიდრე საკურთხეველი და ამ უკანასკნელს არ უერთდებიან. დასავლეთის ფრთა ტაძრისა უფრო გრძელია სხვებზედ. შესავალი სამი აქვს, მაგრამ სამივე დასავლეთის ფრთით. სამხრეთ ფრთაში დასავლეთის კედელთან მომრგვალებული უბეა აქეთ იქით, ეს არის საჯდომი ეპიზკოპოზისა. შუა ნაწილი აღმოსავლეთის მხრით ცოტა გამოწეულია შედარებით სადიაკვნე და სამკვეთლოსთან და შემკობილია ნახევარ-ნახევარი სვეტებით ოთხ ჯგუფად. ამაზე ეყრდნობა სამი კამარა—შემკობილება აღმოსავლეთის სახისა. შემკობილება აქვს კიდევ ჩუქურთმისა ლამაზი დასავლეთის ფანჯარას და შესავალის თავს. გუმბათის ყელი ტაძრისა ორიგინალურია. ეს უბრალო როტონდო არ არის, არამედ რვა მომრგვალო უბე აქვს (თითოს სარკმლით), უბის ქვემო გვერდები მოჭრილია ფანჯრების ძირამდის და შემაგრებული დაბალის სვეტებით უკვარცხელ ბეკიოდ და კუბიკური თავებით. გარედან ამათ პირდაპარ სამკუთხედი ჯბეებია შეჭრილი. სულ გუმბათის ყელი 16 კამარით არის შემკობილი, რომელნიც ორმაგ პატარა სვეტებს ეყრდნობიან. რვა კამარაში თითო ფანჯარაა, რვაში თითო უბე. შიგნით ქვემოთ კედლის ძირებში სხვა და სხვა კაცის სახეები და სცენებია გამოქანდაკებული ქვებზე და ზოგი მათგანი ბევრად უძველესი უნდა იყოს ეკლესიაზედ. ეკლესიას ორი ქართული წარწერა აქვს, დიდი წარწერა მერმენდელია და უჩვენებს 1362 წელს და არა 1030-ს როგორც ბროსსე ფიქრობდა. ეკლესია არ უნდა იყოს უგვიანესი XI—XII საუკუნისა. დ. ბაქრაძის აზრით აქ აყო კათედრა ქართულ წყაროებში მოხსენებულის ალაშკერტის ეპისკოპოსისა.

138 ა. გეგმა. 138 ბ. გეგმა გუმბათის ყელისა. 139. განაკვეთი განზედ. 140. განაკვეთი სიგრძეზედ. 141. დასავლეთის სახე. გაზომილია კალგინის მიერ, შესრულებული რიაბოვის მიერ.

III.

**ექსპედიცია 1902 წ. ექ. თაყაიშვილის მეთაურობით ახალ-ციხის, ახალ-ქალაქის და ჩილდირ-არდაგანის რაიონში.** (მონაწილენი ექსპედიციისა: ხუროთ მოძღვარი სიმონ კლდიაშვილი და ფოტოგრაფი ალექსანდრე მამუჩაშვილი).

ამ ექსპედიციის მიერ შეკრებილი მასალანი გამოქვეყნებულია ექ. თაყაიშვილის მიერ წიგნში: Матеріалы по Археологіи Кавказа, вып. XII, Москва 1909. და ამიტომ ამის შესავსებათ აქ გამოფენილია მხოლოდ რამოდენიმე სურათი და ერთი აქვარელით შესრულებული მხატვრობა.

142. **ბიეთის** ეკლესია ახალ-ციხის მაზრისა. საზოგადო სახე ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან. აქვარელი მხატვარ გრინევსკისა.

**ბორჩალოს მაზრა და სამხრეთის ნაწილი ტფილისის მაზრისა, სომხითსაბარათიანო** (ექ. თაყაიშვილის მოგზაურობანი სხვა და სხვა დროს. ნაწილი გამოცემულია შრომაში: Арх. экс. разыск. и замѣтки, вып. IV).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**143—147. ბოლნისის სიონი.** ერთი უძველესთაგანი ტაძარია საქართველოში უგუმბათო სიონურის რიგისა. აშენებული უნდა იყოს მეექვსე საუკუნეში სირიელ მამათა მოღვაწეობის დროს საქართველოში. სირიული სტილის გავლენა ძლიერ ეტყობა ყველაფერში. თანამედროვე წარწერა იხსენიებს დავით ეპისკოპოსს. შემდეგი დროისა დაუთ მაფას (sic). ეტყობა შემდეგი დროის გადაკეთება ზოგიერთ ნაწილებში. უკანასკნელად შეკეთებულია მეთვრამეტე საუკ. მაშინ არის აშენებული სამრეკლოც დასავლეთის მხრით. მერმენდელი ფრესკების ნაშთებიც არის შენახული.

143. გეგმა. 144. საზოგადო სახე და წვრიმალები (საკუთხეველის ნაწილის სახე და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის კუთხე ტაძრისა; 2 სვეტის თავი და ერთი მათგანის გეგმა). 145. განაკვეთი განზედ დასავლეთის სახით. №№ 143—145 შესრულებულია კალგინის მიერ. 146. აღმოსავლეთის სახე კალგინის დახატული, გრინევსკის მიერ აქვარელით შეხამებული. 147. საზოგადო სახე, გრინევსკის დახატული აქვარელით.

12 ფოტოგრაფიული სურათი ერმაკოვისა და 17 ჩუბინაშვილისა (XIX და XX ვიტრინები).

**148. პატარა ეკლესია ბოლნისის მახლობლად სოფელ ბოლნის-კაპანახჩისთან.** ძველი ეკლესია უნდა იყოს სიონურის რიგისა, თლილის ქვით ნაშენი. აწერილი აქვს გ. ჩუბინაშვილს (Христіанскій Востокъ, т. V. Петротрадъ, 1917).

148. გეგმა. კალგინის გაზომილია და ებრაელიძის შესრულებული.

**149. ცუგრუგაშენი.** ბოლნისის მახლობლად გორაზედ, ჩვეულებრივი გუმბათიანი ქართული ეკლესია თლილის ქვით შეძერწილი და მდიდრულად შემკობილი ჩუქურთმებით. აშენებულია წარწერების მიხედვით გიორგი ბრწყინვალის მიერ მეთოთხმეტე საუკუნის პირველ ნახევარში. თან და თან ინგრევა, ორი ფოტოგრაფიული სურათი ერმოკოვის მიერ გადმოღებული.

149. გეგმა და განაკვეთი სიგრძეზედ ჩრდილოეთის სახით. გაზომილია კალგინის მიერ, შესრულებულია ებრაელიძის მიერ. 150. საზოგადო სახე სამხრეთ აღმოსავლეთიდან, აქვარელით დახატული გრინევსკის მიერ.

**151. ქვეში.** ციხე და ციხეში წმიდა ნიკოლოზის ეკლესია. ციხე ვანახლებულია ორბელიანების მიერ მეთვრამეტე საუკუნეში.

151. საზოგადო სახე აქვარელით დახატული გრინევსკის მიერ.

**152—153. კაზრეთი. სამების ეკლესია.** დიდი თლილის ქვით შეძერწილი ეკლესია სიონურის რიგისა. მოხატული ყოფილა მეჩვიდმეტე საუკუნეში ბოლნელ ეპისკოპოსის მიერ.

152. გეგმა. 153. განაკვეთი სიგრძეზედ ჩრდილოეთის მხარის ჩვენებით. ებრაელიძის მიერ შესრულებული კალგინის ხელმძღვანელობით.

**154—156. დმანისი.** დიდი ეკლესია რიყის ქვით ნაშენი სიონური რიგისა, იყო კათედრა დმანელებისა, შემდეგ სასაფლაო ორბელიანებისა. დასავლეთის მხრით მიშენებული აქვს გიორგი ბრწყინვალის მიერ ლამაზი თლილის ქვით ნაშენი გუმბათიანი ეკუტერი, მდიდრულად შემკობილი ჩუქურთმებით. თვით ტაძარი ძლიერ ძველია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

154. გეგმა. 155. განაკვეთი სიგრძეზედ ჩრდილოეთის მხარის ჩვენებით. 156. სამი გეგმა: ა) პატარა ჩვეულებრივი ეკლესიისა. ბ) სამრეკლოსი. გ) აბანოსი. ებრაელიძის დამზადებული კალგინის ხელმძღვანელობით.

**157—164. პითარეთი.** გუმბათიანი ეკლესია ქართულის რიგისა, ძლიერ მდიდრულად შემკობილი ჩუქურთმებით. აშენებულია მეთოთხმეტე საუკუნის პირველ ნახევარში გიორგი ბრწყინვალის მიერ. იყო სამარხი ორბელიანებისა მეჩვიდმეტე საუკუნიდან.

157. გეგმა. 158. ქვემო ნაწილი აღმოსავლეთის სახისა. ეს და სხვა გეგმები გაზომილი და დახატულია კალგინის მიერ, შეხამებულია ტომაშევსკის მიერ.

159. განაკვეთი სიგრძეზედ კალგინისა და გრინევსკისა. 160. შინაგანი სახე, გრინევსკის აქვარელი. 161. ფრესკა კარის თავზედ, შიგნით, აქვარელი გრინევსკისა. 162. საზოგადო სახე სამხრეთისა კალგინის და გრინევსკისა ნაშრომი.

163. საზოგადო სახე მონასტრის შენობათა, აქვარელი გრინევსკისა. 164. გუმბათის მხატვრობა, აქვარელი გრინევსკისა. 4 ფოტოგრაფიული სურათი ერმაკოვის მიერ გადაღებული.

**165—169. გუდარეხი.** დიდი ეკლესია არის უგუმბათო მოწითლო ქვით შეძერწილი და მდიდოულად შემკობილი ჩუქურთმებით. დაწყებულია რუსუდან დედოფლის, თამარის ასულის, დროს მეცამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, დამთავრებული დიმიტრი თავდადებულის დროს მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. ამ დროს არის აშენებული სამრეკლოც. აწერილი აქვს ექ. თაყაიშვილს (Археологическія Экскурсіи, разысканія и замѣтки, вып. II).

165. გეგმა მონასტრის კარმიდამოსი მონასტრის და სამრეკლოს მდებარეობის ჩვენებით. 166. განაკვეთი ტაძრისა და სამრეკლოსი ჩრდილოეთის მხარის ჩვენებით. 167. გეგმა სამრეკლოს პირველი სართულისა. 168. გეგმა მეორე სართულისა, გაზომილი და შესრულებულია კალაშნიკოვის მიერ. 169. აღმოსავლეთის სახე მონასტრისა კალგინის და ტომაშევსკის მიერ დამზადებული.

6 ფოტოგრაფიული სურათი ახტალის მონასტრისა ერმოკოვის მიერ გადაღებული.

## ტფილისი და მისი მიდამოანი. საქართველოს სამხედრო გზა.

**170—176. სახლი № 2 აბას-აბადის მოედანზედ ტფილისში.** ძეგლი ადგილობრივი საერო ხუროთმოძღვრობისა empire-ის რიგისა. 170. სახე, რომელიც მოედანს დასცქერის. 171. ბალკონის წვრილმალი. 172. ხის მოაჯირის სახე. 173. გეგმა პირველი სართულისა. 174. გეგმა მეორე სართულისა. 175. გეგმა მესამე სართულისა. 176. განაკვეთი ეზოს მხრით. გაზომილი და შესრულებულია კერნის და სევეროვის მიერ.

177. **სამრეკლო ანჩის ხატის ეკლესიისა ტფილისში.** მიშენებულია ძველ ანჩის ხატის ეკლესიაზედ კათოლიკოს დომენტის მიერ 1675 წელს.

177. საზოგადო სახე დასავლეთის მხრით მიდგმულ შენობათა. სახუროთმოძღვრო პეიზაჟი, ნამუშევარი აქვარელით სევეროვის მიერ.

178—179. **ლურჯი მონასტერი ანუ იოანე ღვთის მეტყველის ეკლესია**

ეროვნული

**ტფილისში.** სიონური რიგის ეკლესიაᲥ ექ. თაყაიშვილის გამოკვლევით აშენებულია თამარ მეფის დროს, მეორე ნახევარში მე-XII საუკუნისა. მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში გუმბათი დაადგეს თავზედ (ექ. თაყაიშვილი: Археологич. Экск. вып. IV).

178. გეგმა 179. განაკვეთი საკურთხევლის სახით, გაზომილი და შესრულებულია რიაბოვის და სევეროვის მიერ.

180. **სოფელი დიღომი.** (ტფილისის არე-მარე). შინაგანი სახე ძველი საგლეხო დარბაზისა გადახურული პირამიდის მსგავსი თავგაშლილი გვირგვინით კომლის ამოსასვლელად. ბოძები ხისაა მოჩუქურთმებული.

180. შინაგანი სახე, ნახატი მ. თოიძისა.

181. **კაბენის მონასტერი.** კოჯრის მახლობლად. გუმბათიანი ეკლესიის ნანგრევები შესწავლილი იყო ბროსეს და გრიმეის მიერ (Памятники Византійской архитектуры въ Грузіи и Арменіи СПБ. 1866). შემდეგ სულ დაანგრიეს რუსის ბერებმა. უნდა ყოფილიყო მე-12—13 საუკუნისა. დარჩენილი პატარა ეკლესიის წარწერა გვაცნევს, რომ ის აშენებულია თამარ მეფის დროს.

181. გიპსის მოდელი აღმოსავლეთის სახისა ზანისის ნამუშევარი. 3 ფოტოგრაფიული სურათი ერმაკოვისა გადმოღებული მანამ დაარღვევდენ მონასტერსა.

182. **ანანური.** არაგვის ერისთავების სამყოფი ადგილი-ციხე. თავი ეკლესია აშენებულია მე-17 საუკუნეში. ამის შესახებ გამოკლევა გ. საძაგელოვის-ივერიელისა (Матеріалы по арх. Кавказа, вып. VII Москва).

182. საზოგადო სახე ციხისა, ნახატავი ა. პასკალისა 1881 წ.

**უ-№№-ით. ფოტოგრაფიული სურათები:** 4 სურათი ბეთანიის მონასტერისა განახლებამდის ერმოკოვისა და 2 კიუნის განახლების შემდგომ; წმიდა გიორგის ეკლესია ტფილისის მახლობლად 1 სურათი ზანისისა; ზედაზნის მონასტერი 1 სურათი ზანისისა; ეკლესია კოჯორის მახლობლად 1 სურათი ერმაკოვისა.

183—200. **ჯვარის ეკლესია** მცხეთის პირდაპირ გუმბათიანი მაშენებლების ქანდაკებებით კედლებზედ. დაწყებულია გვარამ კურატპალატის დროს მეექვსე საუკუნეში, განაგრძო შენება სტეფანოს I-ის ძმამ დემეტრემ, დაამთავრა მეშვიდე საუკუნეში ადარნასე I, გალავანი შემოავლო სტეფანოს II. უფრო ძველია პატარა ეკლესია ჩრდილოეთის მხრით, რომლის კედელზედ ნაშთებია სოფიის კენჭის მხატვრობისა.

183. გენერალური გეგმა მონასტრისა. 184. განაკვეთი ადგილის მდებარეობისა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. 185. საზოგადო გეგმა თავი და პატარა ეკლესიებისა. 186. განაკვეთი სიგრძეზედ ორი პატარა ეკლესიისა. 187. განაკვეთი განზედ საკურთხეველის ჩვენებით. 188. განაკვეთი განზედ დასავლეთის მხრის ჩვენებით. 189. განაკვეთი სიგრძეზედ სამხრეთის ნაწილის ჩვენებით. 190. იგივე განაკვეთი ფერადიანი, შესრულებულია სევეროვის მიერ. 191. განაკვეთი განზედ საკურთხევლისა. 192. იგივე განაკვეთი ფერადიანი, შესრულებულია სევეროვის მიერ. 193. განაკვეთი განზედ ეკლესიის დასავლეთის ნაწილისა. 194. ყურთა კამარის კონსტრუქცია თავი ეკლესიისა. 195. აღმოსავლეთის სახე. 196. ჩრდილოეთის სახე. 197. სამხრეთის სახე. 198. იგივე სახე ფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადიანი სევეროვის მიერ შესრულებული. 199. საზოგადო გამოხატულობა სამხრეთის სახის ნაწილისა ზანისის აქვარელი. №№ 183—188 გაზომილი და შესრულებული არის საერთო შრომით კერნისა, რიაბოვისა და სევეროვისა, ზოგი მარტო სევეროვისა. 200. ჯვართამაღლება ქანდაკება სამხრეთის შესავლის თავზედ, გიპსით ჩამოსხმული კალგინის მიერ გადმოღებულის ესტამპაჟით. 3 კიუნეს მიერ გადიდებული სურათი მაშენებელთა ერმაკოვის ნეგატივებიდან. საზოგადო სახე მონასტრისა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან—1 სურათი ერმოკოვის კოლლექციიდან.

**201—207. მცხეთის სამთავრო მონასტრის სამრეკლო.** 201. გეგმა სამრეკლოს სამი სართულისა. 202. განაკვეთი სიგრძეზედ. 203. განაკვეთი განზედ. 204. დასავლეთის სახე. 205. ჩრდილოეთის სახე. გაზომილი და შესრულებულია კერნის, რიაბოვის და სევეროვის მიერ. 206. საზოგადო სახე ფერადიანი, რიაბოვის შესრულებული. 1 ფოტოგრაფიული სურათი ზანისისა.

**სამთავროს მონასტერი.** გუმბათიანი ეკლესია ქართული რიგისა, კარის ბჭით სამხრეთით. 207. გუმბათი აქვარელი ზანისისა. 1 ფოტოგრაფიული სურათი მისივე.

**208—209. მცხეთის ტაძარი, სვეტიცხოველი,** საკათალიკოსო კათედრა. 208. საზოგადო სახე ტაძრისა ზღუდის გარედან, სურათი გაბაშვილისა (ზეთისა). 209. ფრესკები მეჩვიდმეტე საუკუნისა წმინდა ნინოს ცხოვრებიდან გუდიაშვილის მიერ გადმოღებული.

8 ფოტოგრაფიული სურათი ტაძრისა და მისი ზღუდისა ზანისის მიერ გადმოღებული.

**უ-№№-ნი. ფოტოგრაფიული სურათები** (სხვა და სხვა მხატვართა): 1 ზანისისა—ბებრის ციხე მცხეთის მახლობლად. 2 სურათი მისივე—არმაზი მცხეთის მახლობლად; 3 სურათი საზოგადო სახისა (2 ზანისისა და 1 კიუნესი) და 3 სურათი ჩუქურთმიანი ქვებისა კანკელიდან შიომღვიმეში.

**210. მეტეხის ეკლესია** (გორის მაზრაში). კარის ბჭე—აქვარელი ზანისისა.

**211. ერთა-წმინდა** გორის მაზრისა, საზოგადო სახე ტაძრისა და მის მახლობელ შენობათა, აქვარელი გრინევსკისა.

**212—213. ტაძარი წმ. ნიკოლოზისა ყინწვისში** (გორის მაზრისა). თავი ეკლესია გუმბათიანია ქართულის რიგისა აგურით ნაშენი, დასავლეთის ეკუტერი მიშენებულია მეთუთხმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ზაზა ფანასკერტელის მიერ, რომლის ფრესკა ეხლა წელს ზევით შენახულია კედელზედ. შით ეკლესიაში სხვა მხვატვრობათა შორის არის სურათები მეფეთ მეფისა გიორგისა, დედოფლისა და ვაჟისა, დედოფალი თამარ მეფეს გავს, ვაჟი ლაშა გიორგის. ეკლესია უნდა იყოს აშენებული არა უგვიანეს მეთორმეტე საუკუნისა.

212. გეგმა ნამუშევარია კალგინისა.

**პატარა სიონური ეკლესია.** დიდ ეკლესიის სამხრით, დანგრეული, მაგრამ კონქში შერჩენია კიდევ ფრესკები. 213 აღმოსავლეთის სახე, აქვარელი გრინევსკისა.

214—225. **უფლისციხე** (გორის მახლობლად). შენობანი მღვიმის ქალაქისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

214—224. გეგმები და განაკვეთები, გაზომილი და შესრულებულია ებრაელიძის მიერ კალგინის ხელმძღვანელობით.

**ეკლესია სიონური რიგისა** იქვე, შემოზღუდულია შტოებით სამი მხრით.

225. გეგმა გაზომილი და შესრულებულია ებრაელიძის მიერ კალგინის ხელმძღვანელობით. 13 ფოტოგრაფიული სურათი ერმაკოვისა (XXIII ვიტრინა) და 3 ზანისისა (ვიტრინის გარეთ).

226. **ქვახრელი.** შესავალი მღვიმის ეკლესიაში. ამის შესახებ იხ. მელიქსედბეგოვი (Извѣст. Кавк, Музея т. XI).

საზოგადო სახე შენობისა, აქვარელი ზანისისა.

227—231. **იკორთა.** დიდი გუმბათიანი ეკლესია (გორის მაზრაში) თლილის ქვით შეძერწილი და ფრიად მდიდრულად შემკობილი ჩუქურთმებით, ქართულის რიგისა, დახურულია ქვით. დასავლეთის შტო მერმეა მიშენებული. ეკლესია რამოდენიმეჯერ განახლებულა. აშენებული უნდა იყოს მე-14 საუკუნეში. აწერილი აქვს უვაროვის ქალს (Мат. по Арх. Кавк. вып. IV).

227. გეგმა. 228. განაკვეთი სიგრძეზედ ჩრდილოეთის ნაწილის ჩვენებით. გაზომილია და დამზადებული კალაშნიკოვის მიერ. 229. ჩუქურთმა სამკვეთლოს ფანჯრის ირგვლივ. 230. ჩუქურთმები აღმოსავლეთის ფანჯრისა. 231. წვრილმანები დასავლეთის სახისა. 229—231. დახატულია ნამდვილიდან კალაშნიკოვის მიერ.

15 ფოტოგრაფიული სურათი ერმაკოვისა (24 და 25 ვიტრინები).

232—234. **ბიეთი ქართლისა.** ნახევრად მღვიმის ეკლესია არის სიონური რიგისა. ჩრდილოეთის და დასავლეთის ნაწილები კლდეებზედ არის მიყრდნობილი. ზოგი სხვა შენობებიც კლდეშია გამოკვეთილი, ზოგი უფრო გვიანი ზეზეა. გადახურულია თაღით. საკურთხევლის კამარის ნახევარი სვეტის თავი ჩრდილოეთ კედელზედ იონიური რიგის არის. აღმოსავლეთის მხრით აკლდამა მოსჩანს ეხლა გახსნილი და ძვლებით სავსე. აღმოსავლეთის კედელს ერთი დიდი სარკმელი აქვს და აქ იყო ძლიერ გაფუჭებული წარწერა ეხლა ჩვენს მუზეუმში დაცული, რომელშიაც იკითხება გიორგი ერისთავის სახელი. ეს ეკლესია თანამედროვე უნდა იყოს შიო მღვიმის და გარეჯის მღვიმეებისა და ეკუთვნოდეს მე-6 საუკუნეს.

232. გენერალური გეგმა. 233. განაკვეთი სიონისა ჩრდილოეთის კედლის სახით. 234. განაკვეთი განზედ სამხრეთის ეკუტვრის ხაზით. გაზომილია და შესრულებული კალაშნიკოვის მიერ.

2 ფოტოგრაფიული სურათი ერმაკოვისა.

235—345 **სამწევრისი.** გუმბათიანი ეკლესია ჯვარის სახისა, გუმბათის ყელი ოთკუხედია, სამხრეთით მერმენდელი ეკუდერი აქვს მერაბ ფარასკენტელის მიერ მიშენებული მე-16 საუკუნეში. თვით ეკლესია ჩუბინაშვილის აზრით ძრიელ ძველია ადგილობრივი ხუროთ მოძღვრებისა.

235. გეგმა. 236. განაკვეთი სიგრძეზედ სამხრეთის მხარის ჩვენებით. 237. განაკვეთი განზედ საკურთხევლის ჩვენებით. 238. იგივე განაკვეთი შეხამებული, შესრულებულია სევეროვის მიერ. 239 განაკვეთი კუთხეების ჩვენებით. 240. აღმოსავლეთის სახე. 241 იგივე შეხამებული, შესრულებულია სევეროვის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

242. სამხრეთის სახე. 243. იგივე შეხამებული, სევეროვის მიერ. 244. დასავლეთის სახე. 245. იგივე შეხამებული სევეროვის მიერ. №№ 235—245 გაზომილი და შესრულებული საერთო შრომით კერნისა, რიაბოვისა და სევეროვისა, ზოგი კი მარტო სევეროვისა.

9 ფოტოგრეფიული სურათი, 4—საძვალისა ანუ სავანესი გადაღებული კიუნეს მიერ (მე-26 ვიტრინა).

**246—257. წრომი.** გუმბათიანი ძველი დიდი ეკლესია, დასავლეთით შტო აქვს და პატრონიკე. საკურთხეველში დაცულია სურათი მაცხოვრისა სოფიოს კეხჭით შესრულებული. ეკლესია გ. ჩუბინაშვილის აზრით უნდა იყოს მე-7 საუკ. ყოველ შემთხვევაში ის მე-8—9 საუკუნეზედ გვიანი არ არის.

246. გეგმა ქვემო სართულისა. 247. გეგმა ზემო სართულისა. 248. განაკვეთი განზედ საკურთხევლის ჩვენებით. 249. განაკვეთი განზედ ეკლესიის დასავლეთის შტოისა აღმოსავლეთის მხრის ჩვენებით. 250. განაკვეთი განისა გუმბათის ხაზით დასავლეთის მხარის ჩვენებით. 251. განაკვეთი სიგრძეზედ ეკლესიის შუა ნაწილისა ჩრდილოეთის მხრის ჩვენებით. 252. განაკვეთი ჩრდილოეთის ნაოსისა. 253. აღმოსავლეთის სახე. 254. სამხრეთის სახე. 255. დასავლეთის სახე.

256. ჩრდილოეთის სახე. №№ 246—256 გაზომილი და შესრულებულია კალაშნიკოვის მიერ. 257. საზოგადო სახე ნახატი გრინევსკისა.

30 ფოტ. სურათი ტაძრისა კიუნეს გადაღებული (25 და 27 ვიტრინები). 13 სურათი სოფიოს კენჭით შესრულებულ მხატვრობისა პოლევოის გადაღებული (მე-25 ვიტრინა).

**258—265. ატენის ეკლესია.** გუმბათიანი, მოყვითანო თლილის ქვით შეძერწილი, ჯვარის სახისაა, მრავალჯერ შეკეთებულია. ქართული წარწერა ბაგრატ მეოთხის დროისა, მეთერთმეტე საუკ. ამას ქვემოთ სომხური წარწერა იხსენიებს მაშენებელის სახელს და მას მიაწერენ მეშვიდე საუკ. ფრესკის წარწერები სხვათა შორის უჩვენებენ არაბთა სარდლის ბუღას მიერ ტფილისის დაწვას 853 წელს. ამის შესახებ იხ. ივანე ჯავახიშვილის სტატია (Христіанскій Востокъ, т. I, вып. III). საზოგადოდ ფრესკები დ. ვარდეევის აზრით მე-10—12 საუკ. ეკუთვნიან. გარეთ კედლებზე ბევრი ქანდაკებანია. ეკლესია თანამედროვე უნდა იყოს მცხეთის ჯვარის მონასტრისა და ეკუთვნოდეს მეშვიდე საუკ.

258. გეგმა ქვემო ნაწილისა. 259. გეგმა გუმბათისა და მისი ყელისა. 260. განაკვეთი განზედ საკურთხეველის ჩვენებით. 261. განაკვეთი სიგრძეზედ სამხრეთის ნაწილის ჩვენებით. 262. აღმოსავლეთის სახე. 263. სამხრეთის სახე. 264. დასავლეთის სახე. 265. ჩრდილოეთის სახე—ეს სულ შავებია კალაშნიკოვის შრომისა 1919 წლისა.

**ბორჯომის ხეობა და მისი მიდამონი.** (ექსკურსია ექვ. თაყაიშვილისა 1912 წ. ზაფხულში ხუროთმოძღვარ მიხ. კალაშნიკოვთან და ვინაგრადოვ-ნიკიტინთან ერთად. კალაშნიკოვის მიერ შესრულებულია გეგმები ამ რაიონის ნაშთებისა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**266. ლიკანი.** მთელი ჯგუფია შენობათა ნატეხი ქვით ნაშენი, ეხლა დანგრეულია, უკეთ შენახულია სამრეკლო და თავი ეკლესია სიონური რიგისა, რომელსაც ჩრდილოეთით და სამხრეთით შტოები აქვს. სამრეკლოს წარწერა უჩვენებს, რომ ის აშენებულია ქიშვად ავალიშვილის და მისი მეუღლის მეფეთ-მეფის ასულის თამარის მიერ. მე-15—16 საუკ. უნდა იყოს.

266. გეგმა. გაზომილი და შესრულებული კალაშნიკოვის მიერ.

**267. საკვირიკე.** სიონურის რიგის ეკლესია, დანგრეული, უბრალო ქვით ნაშენი, ჩრდილოეთით და სამხრეთით ეკუტრები აქვს. დასავლეთითაც მიშენებულია რაღაც ოთახის მსგავსი შენობა. ჩრდილოეთის შტოი უერთდება ეკლესიას ორი გაშლილი კამარით, უკეთ დაცულს აღმოსავლეთის ნაწილზედ, შიგნით საკურთხეველში ფრესკები მოსჩანს ასომთავრულის და ბერძნულის წარწერებით.

**268—269. ჩიტა-ხევი, ეხლა ლურჯ მონასტრად წოდებული.** სიონური რიგის ეკლესია, ნატეხი ქვით ნაშენი, ეკუტერი ჰქონია ჩრდილოეთით, სამხრეთით კარის ბჭე აქვს და ვიწრო შტო. შიგნით ეტყობა მხატვრობის ნაშთები. აქვე არის კარგათ დაცული სამრეკლო და ბევრი სხვა შენობანი.

268. გეგმა ეკლესიისა. 269. გეგმა სამრეკლოსი. გაზომილი და შესრულებულია კალაშნიკოვის მიერ.

**270. ქვაბთა-ხევი.** უბრალო ქვით ნაშენი სიონური რიგის ეკლესია სამნაწილედი, კლდის ძირში მომაღლოდ მთაზედ, გვერდის ნაწილები უერთდებიან შუა დიდ ნაწილს თითო დაბალ სვეტზედ დაყრდნობილ კამარებით. თაღები ჩამონგრეულია შუა ნაწილში გარდა საკურთხეველისა. ჩრდილოეთის ნაოსში აღმოსავლეთით ჩრდილოეთის კედელზედ მოჩანან ფრესკები და მათ შორის ერთი დიდებულის ტანისამოსით და წარწერით **შოთა**, აქვე ქალის ფიგურა წარწერით **იაი**.

270. გეგმა შესრულებული კალაშნიკოვის მიერ.

**271. დაბა.** საუკეთესო სიონური რიგის ეკლესიაა მთელს ხეობაში, მშვენიერის თლილის ქვით შეძერწული. გაშენებულია მომაღლოთ კლდის ქვეშ და შემკობილია ჩუქურთმებით. ლამაზი ასომთავრული წარწერა უჩვენებს მეფეთ-მეფის გიორგის, დიმიტრის ძის, მე-19 ინდიკტიონს და მეღვინეთხუცეშვილის გადმოღებული წარწერა გულისხმობს კიდევ 21 ქორონიკონს, რომლის ნასახიც დღეს სრულებით არ ეტყობა. თუ აქ მართლა 21 ქორონიკონი იყო, მაშინ წარწერა გიორგი ბრწყინვალის დროის იქნება (1318—1346), თუ აქ ქორონიკონი არ ყოფილა, მაშინ უფრო მისაღებია გიორგი მესამის, თამარის მამის, დროა (1175 წ.).

271. გეგმა გაზომილი და შესრულებული კალაშნიკოვის მიერ.

1 ფოტოგრაფიული სურათი ვინაგრადოვ-ნიკიტინის კოლლექციიდან.

**უ-№№-ოთ.** ფოტოგრაფიული სურათები (სხვა და სხვა მხატვართა მიერ გადაღებული): **ციხე ბორჯომის ხეობაში** (ზანისისა); **ტიმოთის უბანი** წაღვერის მახლობლად საუკეთესო და ყველაზე დიდი გუმბათიანი ეკლესია ბორჯომის ხეობაში, დღემდის კარგად დაცული, ფრესკებით კედლებზედ, უნდა იყოს აშენებული მეთოთხმეტე საუკ. 2 სურათი კალგინის მიერ გადაღებული (ერმაკოვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლლექციიდან); **აწყური**—6 სურათი (5 ერმაკოვისა, 1 ზანისისა); **თისელი**—ნ ყურის მახლობლად ახალციხის მაზრაში 1 სურათი (ერმაკოვისა).

## ახალციხის მაზრა.

**უ №№-ოთ:** 49 ფოტოგრაფიული სურათი ქრისტიანული ხელოვნური ძეგლებისა: **ზარზმა**—4 სურათი ეკლესიის განახლებამდის (ერმაკოვისა) და 38 სურათი ფრესკებისა განახლებამდის (სლავცევისა); **ვარძია**—3 სურათი (ერმაკოვისა); **საფარა**—4 სურათი (ერმაკოვისა).

## კახეთი.

(**მასალანი შეკრებილნი ექ. თაყაიშვილის ექსპედიციებისა** (1911, 1913 და 1914 წლებში) და **დ. პ. გორდეევისა** (1917 წ.) და მოგზაურობანი სხვა და სხვა მხატვართა იმ ძეგლების გაზომვის და გადმოღებისათვის, რომელთაც ზემო ნაჩვენები ექსპედიციები ეხებოდენ).

**272 კვეტერა.** დიდი და ვრცელი ციხეა ილდაკანში მაღალ გრძელ ქედზედ სამ ნაწილად გაყოფილი, უმაღლეს ნაწილში შიდა ციხეა და აქ დაცულია სხვა და სხვა ძეგლები: სასახლე—ორსართულიანი ქვის შენობა დიდრონის მომრგვალებულის ფანჯრებით, წახნაგოვანი კოშკები, და საკმაოდ და კარგათ შენახული, ძლიერ ლამაზი, მრგვალი ეკლესია, გუმბათიანი ჯვარის სახისა შიგნით, ოთხი აპსიდით, შეძერწილია კარგის თლილის ქვით. საქცევები, რომლითაც გუმბათის ყელი უერთდება ეკლესიასა აქ რთულია. ყურთა კამარების მაგიერ ჯერ პატარა უბეებია და მას ზემოთ ორ-ორი გამთიშველნი პატარ-პატარა კამარები. წახნაგოვანი გუმბათის ყელი და თვით ეკლესია გარეთ შემკობილია პატარ-პატარა კამარებით და ნახევარ-ნახევარი სვეტებით, რვა ნაშენი ნახევარი სვეტია აგრეთვე შიგნით და ამათ ეყრდნობა გუმბათის ყელი. კვეტერას ეკლესია არ უნდა იყოს უგვიანესი მეათე საუკუნისა. კვეტერას ციხე ძლიერ მაგარი იყო. როდესაც ბაგრატ მეოთხე მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში აღსართანს წაართვა ყველა ციხეები ჰერეთისა და კახეთისა, კვეტერა ვერ აიღო.

272 გეგმა. გაზომილია და შესრულებულია კიუნეს მიერ. 6 ფოტოგრაფიული სურათი მისივე გადაღებული (მე-30 ვიტრინა).

**273. მატანი.** წმიდა ნიკოლოზის ეკლესია გუმბათიანი, ოთხკუთხედი, აგურით ნაშენი, მომრგვალებული საკურთხეველით და სწორი სადიაკვნით და სამკვეთლოთი. გუმბათის ყელი მაღალია, რვა წახნაგიანი, რვა ფანჯრითა, დამყარებულია ორ მრგვალ სვეტზედ და საკურთხეველის კედლებზედ. დახურულია კრამიტით, გუმბათი აგურით.

373. გეგმა კიუნეს მიერ შესრულებული.

**274. ცხრაკარა.** ცხრა ეკლესია არის ზოგი ერთი-მეორეზედ მიდგმული, ზოგი სულ ახლო-ახლო ერთმანეთისა, ყველა უგუმბათო სიონურის რიგისა, მათ შორის სამნაწილედიც. ზოგი უბრალო ქვით, ზოგი უხეშად ნათალის ქვით ნაშენი. ყველა მოხატული ყოფილა შიგნით, მაგრამ მხატვრობა უმეტესად გაფუჭებულია და მოშლილი. ერთ ფრესკის წარწერაში იხსენიება ბატონიშვილის გულქანის ასული ანა, ყოფილი ანასტასია. აქ წარმოდგენილია მხოლოდ გეგმა ერთი ეკლესიისა, რომელსაც აქვს კანკელი აგურით ნაშენი თიხის სვეტებით ზემოთ.

**275—276. იყალთო.** იყალთოს თავი ეკლესია გუმბათიანი და აკადემიის ნანგრევები აქ არ არის წარმოდგენილი, არამედ ორი პატარა ეკლესია სიონუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი რიგისა უფრო ძველები პირველზედ. ერთი მათგანი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით თავი ეკლესიისა სამების სახელზედ არის აშენებული. მოდიდო ოთხკუთხედი შენობაა, არაჩვეულებრივი, შეკვეცილი საკურთხეველით და ორი ღრმა უბით აღმოსავლეთის კედლის სისქეში, რომელნიც სადიაკვნეს და სამკვეთლოს მაგიერნი არიან. დასავლეთის მხრით შტოი აქვს.

275. გეგმა. გაზომილი და შესრულებულია კიუნეს მიერ.

**პატარა ეკლესია სიონური რიგისა.** იმყოფება სამხრეთით თავი ეკლესიისა, ჩვეულებრივია. შესავალი აქვს ჩრდილოეთით, მისი კარ-სარკმელნი შემკობილია ჩუქურთმებით.

276. გეგმა კიუნეს მიერ გადაღებული.

**უ-№№-ოთ.** ფოტოგრაფიები კიუნეს გადაღებული: **ლელიანი**, წმიდა თეოდორეს ეკლესია ალაზნის პირზედ—6 (მე-30 ვიტრინა); **დავით-გარეჯის უდაბნო**—41 (იოანე ნათლისმცემლის უდაბნო—4 მე-314 ვიტრინა, დავით-გარეჯისა—13 მე-21 ვიტრინაში; წამებული—9, მე-22 ვიტრინაში; ბერთუბანი—14, მე-33 ვიტრინაში და ნაწილი 34-ში); **ძველი შუამთა**—4 (მე-34 ვიტრინაში).

277—279. **გურჯაანი.** ეს არის სიონური რიგის ეკლესია სამნაწილედი, ორი პატარა გუმბათით. ნაშენია რიყის ქვით, მაგრამ სალტეები და თაღის სარტყლები საგანგებო თლილის ქვისა არის. ყოველ მხრით გარდა აღმოსავლეთისა ეკლესიას უვლის პატრონიკე, რომლის აღმოსავლეთის ნაწილები სამხრეთით და ჩრდილოეთით ცალკე სამლოცველოებს წარმოადგენენ, მომრგვალებულის საკურთხევლებით. დასავლეთით შტოი აქვს ერთ სართულიანი და ამის ბანიდან არის შესავალი პატრონიკეში. საკურთხეველი შუა ნაწილისა ნალის მსგავსად არის მომრგვალებული და კარით უერთდება სამკვეთლოს. სადიაკვნე მარტო ეკლესიას უერთდება. სადიაკვნეს და სამკვეთლოს აპსიდები არა აქვთ. აღმოსავლეთის მხრით ეკლესია შემკობილია ნალის მსგავსი კამარებით. ეს ეკლესია არა ჩვეულებრივია. ეს ერთად-ერთი მაგალითია საქართველოში ორ-გუმბათიანი ეკლესიისა. გუმბათები აგურით არის ნაშენი, სულ დაბალი, წახნაგოვანი გუმბათის ყელებით და ყურთა კამარებით. სახურავი კრამიტის არის. ჩვენის აზრით ეგ ტიპიური სიონის რიგის ეკლესია ყოფილა წინეთ უგუმბათო და აგურის პატარა გუმბათები მერმე აქვს დაშენებული. ამავე დროს უნდა იყვნენ გადაკეთებულნი შუა კუთხნიც (ბურჯები) აგრეთვე აგურით შეკეთებულხი. შეიძლება ეს მომხდარიყოს რუსეთის გავლენით, რომელთანაც კახეთს მე-16 საუკუნიდან შეუწყვეტელი კავშირი ჰქონდა. თვით სიონი უძველესი შენობა უნდა იყოს არა უგვიანეს მე-7—8 საუკუნისა.

277. გეგმა ქვემო სართულისა. 278. გეგმა მეორე სართულისა. 279. აღმოსავლეთის სახე. 279ა—ბ ფოტოგრაფიული სურათები გეგმებისა აქვარელით შერეცხილნი. 279ა—აღმოსავლეთის სახე; 278ბ—განაკვეთი განისა გუმბათის ხაზზე; 279გ—განაკვეთი სიგრძეზედ შუა წელის ხაზზე სამხრეთის მხარის ჩვენებით. გაზომილია და შესრულებული კალაშნიკოვის მიერ.

280. **ზეგანი.** დიდი სიონური რიგის ეკლესია ოთხკუთხედი მომრგვალებული საკურთხეველით შიგნით. ნაშენია რიყის ქვით, ხოლო კუთხეები და სალტეები ტლანქად ნათალის ქვებით. შტოები უვლიან ყოველ მხრივ გარდა აღმოსავლეთისა. ამათი აღმოსავლეთის ნაწილები შეადგენენ სამკვეთლოს და სადიაკვნეს ეკლესიისა, და დასავლეთის მხრით შტოი ორ სართულიანია, ზევით პატრონიკე არის. შტოებს გაშლილი კამარები აქვს, სამხრეთით სამი ორ სვეტზედ დამყარებული, დასავლეთით (ქვემო სართული) და ჩრდილოეთით ორ-ორი თითო პატარა სვეტებზე დამყარებული. ეს ეკლესიაც ძველის-ძველი უნდა იყოს.

280. გეგმა გაზომილია და შესრულებული კალაშნიკოვის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

281 **ჭერემი.** სიონური რიგის ეკლესია ერთნაწილედი დიდრონის თლილის ქვით შეძერწილი, კათედრა ჭერემის ეპისკოპოსისა, ჭერემელისა, მეხუთე საუკუნიდან. შიგნით მომრგვალებული, ნალის მსგავსი, საკურთხეველი გარეთ გამოდის ხუთის წახნაგით, სარკმელი ერთი აქვს. გადახურულია შიგნით თაღებით ორი სარტყლით. ირგლივ გარდა აღმოსავლეთის ნაწილისა შტოი უვლის, რომლის აღმოსავლეთის ნაწილები მომრგვალებულია, თითო სარკმელი აქვს. ჩრდილოეთიდან შესავალია სტოაში და ტაძარში და ამის პირდაპირ ტაძრიდან სამხრეთის სტოაში. კარები ნაწილობრივ მერმე ამოშენებულია. მ. კალაშნიკოვის გადმოცემით ნაწილები დასავლეთის ტაძრის კედლისა და შტოისა დასავლეთით და სამხრეთით დანგრეულია, აგრეთვე ჩამონგოეულია თაღები ეკლისიისა გარდა ჯონქისა. ეკლესია ერთი უძველესთაგანია კახეთში. სტოა შეიძლება მერმენდელი იყოს.

281. გეგმა. კალაშნიკოვის მიერ გადაღებული და შესრულებული.

282. **ვეჯინი.** აქ მაღლობზედ რამოდენიმე ძველი შენობაა და ციხე, უძველესი ეკლესია სიონური რიგისა ერთნაწილედი მოგრძო, სულ მოხატული, ჩრდილოეთით მოდგმული აქვს ორი შენობა: აღმოსავლეთით ეკუტერი სიონური, ჩვეულებრივი, დასავლეთით უფრო ფართო შეხობა, საკურთხეველი არა აქვს, შესავლით დასავლეთიდან. ეკლესია ძველი უნდა იყოს არა უგვიანეს მეათე საუკ. დასავლეთის მხრით თავი ეკლესიისა აქ არის გეგმები პატა ეკლესიისა და მასზე მიშენებულის სამრეკლოსი. ამათ შესახებ იხ. გორდეევის სტატია (Извѣстія Кавк. Отд. Моск. Арх· Общ. вып. V).

282 გეგმა თავი ეკლესიისა და პატარა ეკლესიისა, გაზომილი და შესრულებულია კალაშნიკოვის მიერ.

6 ფოტოგრაფიული სურათი (4 ფრესკებისა და ორი იქვე ახლოს მდებარე გუმბათიანი ეკლესიისა) პოლევოის მიერ გადაღებული (მე-35 ვიტრინაში).

**უ-№№-ოთ.** 12 ფოტოგრაფიული სურათი პოლევოის მიერ გადაღებული საბას ლავრის ორი ეკლესიისა კარდანახის მახლობლად (მე-33 ვიტრინა).

283. **ყოვლად წმიდის ეკლესია ვაჩნაძიანის მახლობლად.** ეს არის გუმბათიანი სიონი რიყის ქვით ნაშენი, ხოლო კუთხეები, თაღის სარტყლები და ზოგი სხვა ნაწილები უხეშად ნათალის ქვისაგან არის ნაშენი. სამხრეთის და ჩრდილოეთის კედლებიდან ეკლესიის შუა ნაწილისა შიგნით წამოგრძელებული არის ორ-ორი სვეტის მსგავსი ბურჯები. ამათზედ დამყარებულია კამარები და კამარებზე წახნაგოვანი გუმბათის ყელი ოთხის ფანჯარით და ყურის კამარებით, გუმბათი გარეთგან შემკობილია პასკებით. მომრგვალებულ ნალის მსგავს საკურთხეველს შიგნით განი გუმბათის კამარისა აქვს მხოლოდ. საკურთხეველი და სადიაკვნე ამ ტაძრისა წარმოადგენენ ცენტრალ-გუმბათიანი სახის შენობას სამი აპსიდით და კარებით უერთდებიან საკურთხეველს, ხოლო გარეგან კედლებისკენ სამ წახნაგოვანად გამოდიან, ისე როგორც თვით საკურთხეველიც. ამათ დასავლეთით იწყება შტოი ორ სართულად გაყოფილი, რომელიც უვლის ტაძარს სამის მხრით, ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთით. სართულების გამყოფი თაღები ზოგ ადგილს მოშლილია ეხლა. ჩრდილოეთის და სამხრეთის შტო-

ები აპსიდით, მომრგვალებით, თავდებიან, ჩრდილოეთისა უფრო მოკლედ (ანდა შემდეგ სამკვეთლომდის ორი ქორედია), სამხრეთისა უფრო მოგრძოდ (შემდეგ სადიაკვნემდის ერთი ქორედია). ცა სამკვეთლოს და სადიაკვნესი გუმბათის მსგავსია. ყოველ მხრით ტაძარს ფრინტონები აქვს, მაგრამ ჩრდილოეთით და სამხრეთით არა ბუნებრივი, არამედ რაღაც ზედმეტად დაშენებული. შესავალი აქვს ტაძარს დასავლეთით და შტოებს თითო თითო თავ-თავის მხრით. ტაძარი მოხატული ყოფილა, მაგრამ ეხლა მხატვრობა სულ მოშლილია. მხოლოდ მთავარ ანგელოზის სურათი კიდევ კარგათ არის დაცული შესავლის მარჯვნივ. ეს ტაძარი სიონური რიგისა, როგორც ეტყობა ძლიერ ძველი, შემდეგ უნდა იყოს გადაკეთებული გუმბათიან ტაძრად.

ტაძრის მახლობლად აღმოსავლეთისკენ მაღალ მთაზედ პატარა ეკლესია არის ქვისა ჩვეულებრივი ტიპისა, ერთი კარით დასავლეთით, და შიგნით კედლებზე კარგათ ეტყობა ფრესკების ნაშთები.

283. 4 ფოტოგრაფიული სურათი კალაშნიკოვის გეგმებისა: ა) გეგმა, ბ) განაკვეთი სიგრძეზედ სამხრეთის ნაწილის ჩვენებით, გ) განაკვეთი განზედ საკურთხევლის ჩვენებით, დ) აღმოსავლეთის სახე (მე-36 ვიტრინა).

284—285 **გრემი**. მთავარანგელოზის ეკლესია, ლეონ მეფის აშენებული მეთექვსმეტე საუკ. აქ დაცულია ნაწილობრივ ფრესკები იხ. გორდეევის სტატია (Извѣст. Кавк. Отд. Моск. Арх· Общ. вып. V).

284—285. ზეთის ფერადებით გადმოღებული პირები ფრესკებისა: 284, მეფე ლეონისა, პოლტარაცკის გადმოხატული; 285. წმინდა კოზმანისი, გუდიაშვილის გადმოღებული. 8 ფოტოგრაფიული სურათი პოლევოისა (მე-36 ვიტრინა).

286—288. **ნეკრესი.** ძველი მონასტერი იყო, მრავალი შენობებით. ეხლა მიტოვებულია. უფრო დაცულია ორი ეკლესია; პატარა გუმბათიანი, დიდი სიონური რიგისა ფრესკებით. ამის შესახებ, იხ. გორდეევის სტატია. (Извѣст. Кавк. Отд. Моск. Арх. Общ. вып. V).

286—288. ზეთის ფერადებით გადმოღებული პირები ფრესკებისა: 286. ამშენებელთა ანუ გამანახლებელთა მონასტრისა. 287. სურათი წმიდა ონუფრისა, 288. ნაწილი მხატვრობისა—ტაძრად მიყვანებისა. №286—პოლტორაცკის შრომაა, №№ 287—288 გუდიაშვილისა. 18 ფოტოგრაფიული სურათი პოლევოისა (მე-37 ვიტრინა).

## ქუთაისის გუბერნია.

### სვანეთი.

289. ჯახუნდერი—ჩუქურთმნიანი კარი უ-№№-ოთ. სურათები ერმაკოვის კონლექციიდან: **ლეჩხუმი** —12 სურათი; **რაჭა—სვანეთის საზღვარი** 4 სურათი; **სადადიანიჲ სვანეთი**—16 სურათი; **თავისუფალი სვანეთი**—30 სურათი; **სადადიშკელიანიჲ სვანეთი**—10 სურათი.

### სამეგრელო.

**უ-№№-ოთ: 27 ფოტოგ. სურათი** კიუნეს მიერ გადაღებული: **მარტვილი**—8; **ტყვირი**—1; **ხიანი**—15; **ცაიში**—3; და 1 **ზუგდიდისა** (ერმაკოვის კოლლექციიდან).

### აფხაზეთი.

**უ-№№-ოთ: 2 ფოტოგრაფიული სურათი ზანისისა: ბიჭვინტის მონასტერი** —1 სურათი; ლიხნი—1 სურათი.